ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

რუსლან ცინარიძე

ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის შესახებ

ხელმძღვანელი პროფ. ვლადიმერ ბალაძე

დისერტაცია წარდგენილია მათემატიკის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

ბათუმი 2016

სარჩევი

შესავალი

შეიპური თეორია არის გეომეტრიული ტოპოლოგიის მნიშვნელოვანი და გამოყენებების თვალსაზრისით მდიდარი დარგი. ის არის ANR -სივრცეთა, პოლიედრთა და სიმპლიციალურ კომპლექსთა ჰომოტოპიური ტიპის მქონე სივრცეთა ჰომოტოპიის თეორიის შინაარსიანი გაგრძელება უფრო ზოგად სივრცეთა კატეგორიებამდე.

შეიპური ტიპის თეორიები, რომელთათვისაც სამართლიანია კლასიკური შეიპური თეორიის რიგი შედეგები, არსებით როლს თამაშობენ თანამედროვე ტოპოლოგიაში, სისტემატურად მატულობს როგორც მათი რიცხვი, ისე მათი მეთოდების მნიშვნელობა ტოპოლოგიის სხვადასხვა დარგებში (ჰომოლოგიის თეორია, ჰომოტოპიის თეორია, რეტრაქტების თეორია, განზომილების თეორია, დინამიკური სისტემები, C^* -ალგებრები და სხვა) აღმოცენებული პრობლემების შესწავლისას.

თავდაპირველად შეიპური თეორია აგებული იქნა კ.ბორსუკის მიერ კომპაქტურ მეტრიზებად სივრცეთა კატეგორიისათვის, შემდეგ კი მეტრიზებად სივრცეთა კატეგორიისთვის ასახვათა ფუნდამენტური მიმდევრობების მეშვეობით ([Bo_2]-[Bo_4]).

ს.მარდეშიჩმა და ჯ.სეგალმა სივრცეთა შებრუნებული სისტემებით აპროქსიმაციის მეშვეობით ბორსუკის შეიპური თეორია გააგრძელა კომპაქტურ ჰაუსდორფის სივრცეთა კატეგორიამდე ([M-S_1]-[M-S_3]). ამის შემდეგ, იმავე გზით, რ.ჩ.ფოქსმა ბორსუკის თეორია გაავრცელა მეტრიზებად სივრცეთა კატეგორიაზე [Fo]. შეიპური თეორიის სხვა განზოგადება აღწერილი იქნა ბ.ჯ.ბოლის და რ.ბ.შერის მიერ [Ba-Sh], როცა მათ ააგეს საკუთრივი შეიპური თეორია ლოკალურად კომპაქტური სეპარაბელური სივრცეების და საკუთრივი ასახვების კატეგორიისათვის. გარდა ამისა, ბ.ჯ.ბოლმა [Ba] საკუთრივი შეიპური თეორია გამოიკვლია ლოკალურად კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეების და საკუთრივი ასახვების კატეგორიისათვის, ხოლო ვ.ბალაძემ [B_7] ლოკალურად კომპაქტურ პარაკომპაქტურ სივრცეთა და საკუთრივ ასახვათა კატეგორიისთვის. პარაკომპაქტურ და p -პარაკომპაქტურ სივრცეთა შეიპური კლასიფიკაციები აღწერილი იქნა ა.შოსტაკის [Š] და ს.მარდეშიჩისა და ა.შოსტაკის [M-Š] მიერ. ნებისმიერ

ტოპოლოგიურ სივრცეთა კატეგორიისათვის შეიპური თეორია განვითარებული იქნა კ.მორიტას [Mor] და ს.მარდეშიჩის [M_1] მიერ.

აბსოლუტური მიდამოებრივი თანაბარი რეტრაქტების თანაბარი ჰომოტოპიის თეორიის, აბსოლუტური მიდამოებრივი ექვივარიანტული რეტრაქტების ექვივარიანტული ჰომოტოპიის თეორიის და აბსოლუტური მიდამოებრივი რეტრაქტების n-ჰომოტოპიის თეორიის შეიპური ტიპის გაფართოებები აგებულ და გამოკვლეულ იქნა მრავალი ავტორის მიერ.

თანაბარ სივრცეთა კატეგორიისათვის თანაბარი შეიპური თეორია განვითარებულ იქნა აგარონიანისა და სმირნოვის [A-S], ვ.ბალაძის ([B_8],[B_9],[B_{11}]), ვ.ბალაძისა და ლ.თურმანიძის ([B-Tu_1],[B-Tu_2]), დ. დოიჩინოვის ([Do_1]-[Do_3]), ნგუენ ანჰ კიეტის [Ki], ტ.მიუატას ([Mi_1]-[Mi_2]), ტ.მიუატასა და ჯ.სეგალის [Mi-S], ტ.მიუატასა და ტ.ვატანაბეს [Mi-W] და ნგუენ ტუ ნჰუს [Nh] მიერ.

ტოპოლოგიური ჯგუფების მოქმედების მქონე სივრცეთა ექვივარიანტული შეიპური თეორიის სათავეები უკავშირდება ს.ა. ანტონიანის, რ.ჯიმენეზის და ს.დე.ნეიმეტის [An-J-N], ს.ა. ანტონიანის და ს.მარდეშიჩის [An-M],ზ.ჩერინის [$Č_3$],პ.ს.გევორქიანის ([G_1]-[G_3])და ი.მ.სმირნოვის([Sm_1]-[Sm_3]) შრომებს. ექვივარიანტული შეიპური თეორიის პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ი.მ.სმირნოვისა და მისი მოსწავლეების შრომებში განვითარებულმა მეთოდებმა და მიღებულმა შედეგებმა.

n-შეიპური თეორია აგებულ იქნა ა. ჩიგოგიძის ([Ch_1],[Ch_2]) მიერ კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეთა კატეგორიისათვის. მისი შედეგები გავრცელებული იქნა ლოკალურად კომპაქტური სეპარაბელური სივრცეების და საკუთრივი ასახვების კატეგორიაზე ი.აკაიკეს ([Ak_1], [Ak_2]), ი.აკაიკესა და კ.საკაის [Ak-Sa] და კ.საკაის [Sa] მიერ. ნებისმიერი კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეების კატეგორიისათვის n-შეიპური თეორია გამოკვლეული იქნა რ.ჯიმენეზის და ლ.რ.რუბინის [Ji-R] მიერ.

გარდა ამისა, არსებობს ფიქსირებული B_0 სივრცის მიმართ განხილული სივრცეების და უწყვეტი ასახვების ფიბრული შეიპური თეორიის სხვადასხვა ნაირსახეობა. ფიბრული

შეიპური თეორია წარმოადგენს ANR_{B_0}-სივრცეების ([Dol_2],[Y_2]) და ANR-ასახვების ([U], [N-S]) ფიბრული ჰომოტოპიის თეორიის გაგრძელებას.

ფიბრული შეიპური თეორია B_0-ზე განხილული კომპაქტური მეტრიკული სივრცეების და ფენების შემნახველი ასახვების კატეგორიისათვის განხილული იქნა ჰ.კატოს ([K_1]-[K_4]) და მ.კლაპისა და ლ.მონტეჯანოს [Cl-Mo] მიერ. ტ. იაგასაკის შრომებში ([Y_1]-[Y_4]) გამოკვლეული იქნა ფიბრული შეიპური თეორია B_0 მეტრიკული სივრცის მიმართ განხილული მეტრიკული სივრცეების და ფენების შემნახველი ასახვების კატეგორიისათვის. B_0 მეტრიკული სივრცის მიმართ განხილული ნებისმიერი სივრცეებისთვის, მეტრიკული სივრცეების ასახვებისთვის და ტოპოლოგიური სივრცეების ასახვებისთვის ფიბრული შეიპური თეორიები განვითარებული იქნა ვ.ბალაძის ([B_2]-[B_6],[B_{10}]), ზ.ჩერინის [$\check{C}_2$] და დ.ა.ედვარდსისა და პ.ტ.მაკაულეის [E-A] შრომებში.

კლასიკურ შეიპურ თეორიასა და მის ნაირსახეობებთან ერთად არსებობს თანამედროვე გეომეტრიული ტოპოლოგიის მნიშვნელოვანი დარგი, ე.წ. ძლიერი შეიპური თეორია, რომელსაც ტოპოლოგიაში (ზოგადი ტოპოლოგია, ალგებრული ტოპოლოგია, გეომეტრიული ტოპოლოგია) გამოყენებების გარდა ([M_3],[Md]) აქვს აგრეთვე საინტერესო გამოყენებანი მათემატიკის სხვა დარგებშიც (დინამიკური სისტემები, C^*-ალგებრები) ([H],[D]).

ძლიერი შეიპური თეორია სივრცეთა სხვადასხვა კატეგორიისათვის გამოკვლეული იქნა მრავალი ავტორის მიერ. კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეთა კატეგორიისათვის ექვივალენტური ძლიერი შეიპური თეორიები განვითარებული იქნა ფ.ვ.ბაუერის [Bau], ა.კალდერისა და ჰ.მ.ჰასტინგსის [Ca-H], ფ.ვ.კატეის [C_1], ჯ.დიდაკის და ჯ.სეგალის [Dy-S], დ.ა.ედვარდსის და ჰ.მ.ჰასტინგსის [E-H], ი.კოდამასა და ჯ.ონოს [Ko-O], ი.ლისიცას [L_4] და ჯ.ბ.ქვიგლის [Q] მიერ.

ზოგადი ტოპოლოგიური სივრცეების კატეგორიისათვის და ნებისმიერი კატეგორიისათვის ძლიერი შეიპური თეორია აგებული იქნა მ.ბატანინის [Bat], ფ.ვ.ბაუერის [Bau], ჯ.დიდაკის და ს.ნოვაკის ([$Dy\text{-}N_1$],[$Dy\text{-}N_2$]), ი.ტ.ლისიცას [L_3],

ი.ტ.ლისიცასა და ს.მარდეშიჩის [L-M], ზ.მიმინოშვილის [Mim] და ლ.სტრამასსიას [St]მიერ. ძლიერი შეიპური თეორიის მეთოდების გამოყენებით ამოხსნილ იქნა ტოპოლოგიის მრავალი სერიოზული პრობლემა [M_3].

შეიპური თეორიის განვითარების თანამედროვე პერიოდისთვის დამახასიათებელია ძლიერი შეიპური თეორიის სხვადსხვა ვერსიის აგება და განვითარება.

ექვივარიანტული ჰომოტოპიის ცნებაზე დაფუძნებული ძლიერი შეიპური თეორია აგებული იქნა ვ.ბალაძის [B_1] მიერ მეტრიკული G-სივრცეებისათვის და ა.ბიკოვისა და მ.ტექსისის [By-Te_2] მიერ კომპატური მეტრიკული G-სივრცეებისათვის.

ძლიერი შეიპური თეორია, დაფუძნებული n-ჰომოტოპიის ცნებაზე, განვითარებული იქნა ი.ივამოტოსა და კ.საკაის [I-Sa] მიერ.

ფიბრული ტოპოლოგია არის ჰომოტოპიური ტოპოლოგიის ახალი მიმართულება და დღეს უჭირავს ერთერთი ცენტრალური ადგილი თანამედროვე ტოპოლოგიაში ([Cr-J], [J_1],[J_2],[Po]). ის აღმოცენდა ზოგადი ტოპოლოგიის, ალგებრული ტოპოლოგიის და გეომეტრიული ტოპოლოგიის მიჯნაზე. მისი მეთოდები წარმატებით გამოიყენება როგორც ტოპოლოგიის, ისე დიფერენციალური გეომეტრიის, ლის ჯგუფების და დინამიკური სისტემების ამოცანების კვლევისას. ამიტომ ფიბრული სივრცეების ახალი თვისებების და მახასიათებლების დადგენას აქვს დიდი მნიშვნელობა ზოგადად მათემატიკისთვის. აქედან გამომდინარე, ფიბრული ტოპოლოგიისათვის ძლიერი შეიპური თეორიის აგება არის საინტერესო და აქტუალური ამოცანა.

ისევე როგორც, ძლიერი შეიპური თეორია აღმოცენდა ჰომოტოპიის თეორიიდან, ასევე ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია წარმოიქმნება ფიბრული ჰომოტოპიის თეორიიდან. ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის განვითარება არის ფიბრული ტოპოლოგიის განვითარების ბუნებრივი პროცესი, რაც იძლევა შეიპების თეორიის მეთოდებით ფიბრული ტოპოლოგიის, კერძოდ, ფიბრული ჰომოტოპიის თეორიის შემდგომი კვლევის პერსპექტივას.

სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანია ფიბრული ტოპოლოგიის ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის განვითარება, კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეთა და,

ზოგადად, ტოპოლოგიურ სივრცეთა ფიბრული ძლიერი შეიპური კლასიფიკაციის აგების ამოცანის გამოკვლევა, იმ აუცილებელი და საკმარისი პირობების დადგენა, რომელთა შესრულების შემთხვევაში შეიპური მორფიზმები არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობები. შრომა მიზნად აგრეთვე ისახავს მთავარი ფოკუსი გადატანილ იქნეს ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის გეომეტრიულ ინტერპრეტაციაზე.

თავდაპირველად მოვიყვანოთ ნაშრომის შედეგების მოკლე აღწერა თავების მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და გამოყენებული ლიტერატურის მომცველი ბიბლიოგრაფიული ნუსხისგან.

შესავალში მოკლედ აღწერილია შეიპური და ძლიერი შეიპური თეორიების განვითარების ისტორია და სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგები.

პირველი თავი ეძღვნება ფიბრული ტოპოლოგიის მიმოხილვას, დაწყებულს საბაზისო თეორიით და გაგრძელებულს ფიბრული ჰომოტოპიის თეორიის და ფიბრული რეტრაქტების თეორიის რჩეული და სპეციალური საკითხებით. პირველი თავი აგრეთვე ეხება ბორსუკის ფიბრულ წყვილებს, ძლიერ შეიპურ დეფორმაციულ ასახვებს და B_0-ზე ფიბრანტულ სივრცეებს. მეორე თავში განმარტებულია და შესწავლილია ფიბრული კოტელესკოპები, აგებულია B_0-ზე კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეთა ფიბრული ძლიერი შეიპური კატეგორია და მოცემულია ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობების დახასიათებები. მესამე თავში შესწავლილია ფიბრული ANR_{B_0}-რეზოლვენტები და განვითარებულია ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია ნებისმიერი ტოპოლოგიური სივრცეებისთვის.

ახლა მოვიყვანოთ დისერტაციაში მიღებული შედეგების დაწვრილებითი მიმოხილვა.

თავი 1-ის პარაგრაფ 1.1-ში მიღებულია B_0-ზე სივრცეების ბორსუკის წყვილების დახასიათებებთან დაკავშირებული ზოგიერთი შედეგი.

ბორსუკის ფიბრული წყვილების თვისებები აღწერილია შემდეგ წინადადებებში.

თეორემა 1.1.1. B_0-*ზე ასახვა* $i:(A,®_A)\to(X,®_X)$ *არის კოფიბრაცია* B_0-*ზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* B_0-*ზე* $j:(\mathrm{Cyl}(i),®_{\mathrm{Cyl}(i)})\to(X\times I,®_{X\times I})$ *ასახვა არის რეტრაქტირებადი.*

შედეგი 1.1.2. B_0-*ზე* X *სივრცის და მისი ჩაკეტილი* A *ქვესივრცის* (X,A) *წყვილი არის ბორსუკის წყვილი* B_0-*ზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $(X\times\{0\})\cup(A\times I)\subset X\times I$ *არის* $X\times I$ -*ის რეტრაქტი* B_0 -*ზე.*

შედეგი 1.1.3. *ყოველი* (X,A) *ჩაკეტილი ბორსუკის წყვილისათვის* B_0-*ზე და ყოველი* B_0-*ზე* Y *სივრცისთვის* $(X\times Y,A\times Y)$ *არის ბორსუკის ჩაკეტილი წყვილი* B_0-*ზე.*

შედეგი 1.1.4. *თუ* (X,A) *არის ბორსუკის წყვილი* B_0-*ზე და* A *არის* X *ლოკალურად კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ ყოველი* B_0-*ზე* Y *სივრცისთვის* $i^*:Y^X\to Y^A$ *ასახვა არის* B_0-*ზე კოფიბრაცია.*

თეორემა 1.1.5. B_0-*ზე* $(X,®_X)$ *სივრცის და მისი ჩაკეტილი* $(A,®_{X|A})$ *ქვესივრცის* (X,A) *წყვილი არის ბორსუკის წყვილი* B_0-*ზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ისეთი* $\cdot:X\to I$ *ასახვა და* A-*ს მიმართ* $G:(X\times I,®_{X\times I})\to(X,®_X)$ *ფიბრული ჰომოტოპია, რომ* $A=\cdot^{-1}(0)$, $G(x,0)=x$ *და* $\cdot(x)<t$ *მნიშვნელობისთვის* $G(x,t)\in A$.

თეორემა 1.1.6. *ვთქვათ* (X,A) *არის ბორსუკის წყვილი* B_0-*ზე. მაშინ*

$$(X\times I,(X\times\{0\})\cup(A\times I)\cup X\times\{1\})$$

არის ბორსუკის წყვილი B_0-*ზე.*

თეორემა 1.1.7. *ვთქვათ* (X,A) *არის ბორსუკის წყვილი* B_0-*ზე. მაშინ* B_0-*ზე რეტრაქცია* $r:(X,®_X)\to(A,®_{X|A})$ *არის ძლიერი დეფორმაციული რეტრაქცია* B_0-*ზე.*

თეორემა 1.1.8. B_0-*ზე სივრცეების ჩაკეტილი* (X,A) *წყვილი არის ბორსუკის წყვილი* B_0-ზე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\tilde{A}=(X\times\{0\})\cup(A\times I)$ *არის* $(X\times I,®_{X\times I})$-*ის ძლიერი დეფორმაციული რეტრაქტი* B_0-*ზე.*

შედეგი 1.1.9. *ვთქვათ* (X,A) *არის ბორსუკის ჩაკეტილი წყვილი* B_0-*ზე. მაშინ* $(A,®_A)$ ქვესივრცე არის $(X,®_X)$-*ის ძლიერი დეფორმაციული რეტრაქტი* B_0-*ზე მაშინ და*

მხოლოდ მაშინ, როცა $i:(A,®_A)\to(X,®_X)$ *ჩადგმა არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა.*

თავი 1-ის პარაგრაფ 1.2-ში მოცემულია შეიპური ძლიერი დეფორმაციული რეტრაქციის ასახვასთან (SSDR-ასახვასთან) და ფიბრანტულ სივრცეებთან ასოცირებული განმარტებები და ცნებები და დადგენილია მათი თვისებები.

თავი 1-ში განხილული ყველა სივრცე არის მეტრიზებადი. აქ საბაზისო განმარტებაა შემდეგი

განსაზღვრება 1.2.1. *ვთქვათ,* $(X,®_X)\in ob(\mathbf{M}_{\mathrm{B}_0})$ *და* A *არის* X *სივრცის ჩაკეტილი ქვესივრცე.* B_0*-ზე* $(A,®_{X|A})$ *ქვესივრცეს ეწოდება* $(X,®_X)$ *სივრცის შეიპური ძლიერი დეფორმაციული რეტრაქტი* B_0*-ზე, თუ არსებობს* $\sim:(X,®_X)\to(Y,®_Y)\in\mathrm{AR}_{\mathrm{B}_0}$ *ჩადგმა* B_0*-ზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:*

$(Y,®_Y)$*-ში* $\sim(X)$ *და* $\sim(A)$ *ანასახების ნებისმიერი* U *და* V *მიდამოებისთვის არსებობს* B_0*-ზე ისეთი ჰომოტოპია* $H:(X\times I,®_{X\times I})\to(U,®_{Y|U})\,\mathrm{rel}A$*, რომ ყოველი* $x\in X$ *წერტილისთვის* $H(x,0)=\sim(x)$ *და* $H(x,1)\in V$.

განმარტებიდან ჩანს რომ, თუ $\sim:(X,®_X)\to(M,®_M)$ ჩადგმა B_0-ზე აკმაყოფილებს 1.2.1 განმარტების პირობებს, მაშინ ეს პირობები სრულდება ყოველი $:(X,®_X)\to(Z,®_Z)\in\mathrm{AR}_{\mathrm{B}_0}$ ჩაკეტილი ჩადგმისათვის B_0-ზე.

B_0-ზე $i:(A,®_A)\to(X,®_X)$ ჩაკეტილ ჩადგმას ეწოდება $\mathrm{SSDR}_{\mathrm{B}_0}$-ასახვა, თუ i ასახვა $(A,®_A)$-ს ჩადგამს $(X,®_X)$-ში, როგორც $(X,®_X)$-ის შეიპურ ძლიერ დეფორმაციულ რეტრაქტს B_0-ზე.

$\mathrm{SSDR}_{\mathrm{B}_0}$-ასახვის ცნება აზოგადებს $\mathrm{SDR}_{\mathrm{B}_0}$-ასახვის ცნებას. თავი 1-ის პარაგრაფ 2.1-ის შედეგთა შორის ერთერთი მთავარია

თეორემა 1.2.2. *ვთქვათ,* $(X,®_X)\in\mathrm{M}_{\mathrm{B}_0}$ *და* A *არის* X*-ის ჩაკეტილი ქვესივრცე. მაშინ ექვივალენტურია შემდეგი წინადადებები:*

a) $i:(A,®_{X|A})\to(X,®_X)$ *არის* SSDR*-ასახვა* B_0*-ზე;*

b) *ყოველი* B_0*-ზე* $f:(A,\circledR_{X|A})\to(Y,\circledR_Y)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ *ასახვისათვის არსებობს ისეთი* $\tilde{f}:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ *ასახვა* B_0*-ზე, რომ* $\tilde{f}\cdot i=f$ *და ნებისმიერი ორი ასეთი* B_0*-ზე გაფართოება არის ფიბრულად ჰომოტოპიური* iA *ანასახის მიმართ;*

c) *ყოველი კომუტაციური დიაგრამისათვის*

$$\begin{tikzcd}
A \arrow[rr, "f"] \arrow[dr, "\pi_{X|A}"] \arrow[dd, "i"'] & & E \arrow[dl, "\pi_E"'] \arrow[dd, "p"] \\
& \mathrm{B}_0 & \\
X \arrow[ur, "\pi_X"] \arrow[rr, "F"'] \arrow[uurr, dashed, bend right, "\tilde{F}"'] & & B, \arrow[ul, "\pi_B"']
\end{tikzcd}$$

სადაც $p:(E,\circledR_E)\to(B,\circledR_B)$ *არის ფიბრაცია* B_0*-ზე და* $(E,\circledR_E)$ *და* $(B,\circledR_B)$ *არის* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცეები, არსებობს ისეთი* $\tilde{F}:(X,\circledR_X)\to(E,\circledR_E)$ *ასახვა* B_0*-ზე, რომ* $\tilde{F}\cdot i=f$ *და* $p\cdot\tilde{F}=F$.

d) B_0*-ზე ასახვების ყოველი კომუტაციური დიაგრამისათვის*

$$\begin{tikzcd}
A \arrow[rr, "f"] \arrow[dr, "\pi_{X|A}"] \arrow[dd, "i"'] & & P^K_{\mathrm{B}_0} \arrow[dl, "\pi_{P^K}"'] \arrow[dd, "j^*"] \\
& \mathrm{B}_0 & \\
X \arrow[ur, "\pi_X"] \arrow[rr, "F"'] \arrow[uurr, dashed, bend right, "H"'] & & P^L_{\mathrm{B}_0}, \arrow[ul, "\pi_{P^L}"']
\end{tikzcd}$$

სადაც $P\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$, L *არის* K *სასრული* CW*-კომპლექსის ქვეკომპლექსი, ხოლო* $j:L\to K$ *ჩადგმის ასახვა, არსებობს* B_0*-ზე ფილერი* $H:(X,\circledR_X)\to(P^K,\circledR_{P^K})$.

ეს შედეგი თამაშობს არსებით როლს სადისერტაციო ნაშრომის თავი 1-ში და თავი 2-ში. თავი 1-ში აგრეთვე განმარტებული და გამოკვლეულია B_0-ზე ფიბრანტული სივრცეები.

განსაზღვრება 1.2.3. B_0*-ზე* $(Y,\circledR_Y)$ *სივრცეს ეწოდება* B_0*-ზე ფიბრანტული სივრცე, თუ ყოველი* B_0*-ზე* SSDR*-ასახვისთვის* $i:(A,\circledR_{X|A})\to(X,\circledR_X)$ *და ყოველი* B_0*-ზე*

$f:(A,\circledR_{X|A})\to(Y,\circledR_Y)$ *ასახვისათვის არსებობს ისეთი* B_0*-ზე* $F:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ *ასახვა, რომ* $F\cdot i=f$ *,ანუ კომუტაციურია შემდეგი დიაგრამა*

$$\begin{tikzcd} A \arrow[rr, "i"] \arrow[dr, "\pi_{X|A}"] \arrow[ddr, "f"'] & & X \arrow[dl, "\pi_X"'] \arrow[ddl, "F"] \\ & \mathrm{B}_0 & \\ & Y \arrow[u, "\pi_Y"'] & \end{tikzcd}$$

B_0-ზე ფიბრანტული სივრცეების კლასი არის საკმარისად ფართო. ის შეიცავს B_0-ზე აბსოლუტური მიდამოებრივი რეტრაქტების კლასს (თეორემა 1.2.4) .

გარდა ამ შედეგისა, აქ დამტკიცებულია, თუ $(Y,\circledR_Y)$ არის B_0-ზე ფიბრანტული სივრცე და K არის კომპაქტური მეტრიკული სივრცე, მაშინ $(Y^K_{\mathrm{B}_0},\circledR_{Y^K_{\mathrm{B}_0}})$ აგრეთვე არის B_0-ზე ფიბრანტული სივრცე (თეორემა 1.2.3).

თავი 1-ის შედეგები შეჯამებულია წინადადებებში, რომლებიც სისტემატურად გამოიყენება სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ ნაწილებში.

თეორემა 1.2.6. *ვთქვათ,* $\mathbf{Y}=((Y_n,\circledR_{Y_n}),p_{n,n+1},N^+)$ *არის* B_0*-ზე ფიბრანტული სივრცეების და ფიბრაციების შებრუნებული სისტემა. მაშინ* $Y=\varprojlim\mathbf{Y}$ *ფიბრული ზღვრული სივრცე არის* B_0*-ზე ფიბრანტული სივრცე და* $p_n:(Y,\circledR_Y)\to(Y_n,\circledR_{Y_n})$ *ბუნებრივი პროექციები არის* B_0*-ზე ფიბრაციები.*

თეორემა 1.2.7. *ვთქვათ,* $f:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ *არის* B_0*-ზე ასახვა. თუ* $(X,\circledR_X),(Y,\circledR_Y)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$, *მაშინ* $\mathrm{coCyl}_{\mathrm{B}_0}(f)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$.

თეორემა 1.2.8. *ვთქვათ,* $f:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ *არის* B_0*-ზე ფიბრანტულ სივრცეებს შორის* B_0 *-ზე ასახვა. მაშინ* B_0*-ზე კოცილინდრი* $\mathrm{coCyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ *არის* B_0*-ზე ფიბრანტული სივრცე.*

თავი 2-ის პარაგრაფი 2.1 იწყება B_0-ზე $\mathbf{X}=\{X_n,\circledR_{X_n},q_n^{n+1},N^+\}$ შებრუნებული მიმდევრობის ფიბრული კოტელესკოპის განმარტებით.

აქ მოცემული, მისი აგების დეტალური აღწერა საშუალებას გვაძლევს დავამტკიცოთ შემდეგი მთავარი თეორემა.

თეორემა 2.1.1. *ვთქვათ* $\mathbf{X}=\{(X_n,®_{X_n}),q_n^{n+1},N^+\}$ *არის* B_0*-ზე ფიბრანტული სივრცეების და ასახვების შებრუნებული სისტემა. მაშინ* $\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})$ *კოტელესკოპი არის ფიბრანტული სივრცე* B_0*-ზე. თუ* $\mathbf{X}$ *შებრუნებული სისტემის ყოველი* $(X_n,®_{X_n})$ *წევრი არის* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცე,მაშინ* $\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})$ *აგრეთვე არის ფიბრანტული სივრცე* B_0*-ზე.*

არსებობს ერთადერთი ბუნებრივი B_0-ზე ჩადგმა $i_{\mathbf{q}}:(X,®_X)\to(\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X}),®_{\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})})$ ისეთი, რომ ყოველი $n\geq 0$ მთელი რიცხვისთვის სრულდება ტოლობა $\tilde{q}_n\, i_{\mathbf{q}}=i_n\, q_n$.

ფიბრული ძლიერი შეიპური კლასიფიკაციის განმარტების მიზნით სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია ფიბრული რეზოლვენტის ცნება, რომელიც წარმოადგენს ვ.ბალაძის მიერ $[\mathrm{B}_4]$-ში მოცემული ფიბრული რეზოლვენტის განმარტების კერძო შემთხვევას.

განსაზღვრება 2.1.2. $\mathbf{X}=\{(X_n,®_{X_n}),q_n^{n+1},N^+\}$ *შებრუნებულ სისტემას ეწოდება* B_0*-ზე* $(X,®_X)$ *სივრცის* B_0*-ზე რეზოლვენტა, თუ*

a) $(X,®_X)=\underleftarrow{\lim}\mathbf{X}$;

b) $\mathbf{q}=\{q_n:(X,®_X)\to(X_n,®_{X_n})\}_{n\in N^+}$ *ოჯახი აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:ყოველი* $n\in N^+$ *მთელი რიცხვისთვის და* $(X,®_X)$ *სივრცეში* $q_n(X)$ *ანასახის ყოველი* U *ღია მიდამოსთვის არსებობს ისეთი* $m\geq n$ *მთელი რიცხვი, რომ* $q_n^m(X_m)\subseteq U$.

თუ ყოველი $(X_n,®_{X_n})\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$, *მაშინ* $\mathbf{q}$ *ერთობლიობას ეწოდება* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-რეზოლვენტა* B_0-ზე.

თავი 2-ში მიღებულ შედეგთა შორის ერთერთი მნიშვნელოვანია ფიბრული რეზოლვენტის არსებობის თეორემა.

თეორემა 2.1.3. B_0*-ზე ყოველი კომპაქტური მეტრიზებადი* $(X,®_X)$ *სივრცისთვის არსებობს* B_0*-ზე* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-რეზოლვენტა* $\mathbf{q}:(X,®_X)\to\mathbf{X}$.

ამ შედეგიდან გამომდინარეობს, რომ კომპაქტური მეტრიკული $(X,®_X)$ სივრცის ყოველ ფიბრულ რეზოლვენტას შეესაბამება $(X,®_X)$-ის ფიბრული ფიბრანტული გაფართოება, წოდებული ამ ფიბრული რეზოლვენტის ფიბრულ კოტელესკოპად.

შემდეგი შედეგი თამაშობს არსებით როლს სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ ნაწილში ჩატარებულ კონსტრუქციებში.

თეორემა 2.1.4. *ვთქვათ,* $(X,®_X)$ *არის კომპაქტური მეტრიზებადი სივრცე* B_0*-ზე. თუ* $\mathbf{q}:(X,®_X)\to\mathbf{X}=\{(X_n,®_{X_n}),q_n^{n+1},N^+\}$ *არის* $(X,®_X)$ *-ის რეზოლვენტა* B_0*-ზე, მაშინ არსებობს უსასრულო ძლიერი დეფორმაციული რეტრაქცია*

$$D:\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})\times[0,\infty)\to\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})$$

$\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})$ *-დან* $\mathbf{i_q}(X)$*-ზე. კერძოდ,* $\mathbf{i_q}:(X,®_X)\to\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})$ *ასახვა არის* SSDR*-ასახვა* B_0*-ზე.*

თეორემა 2.1.1-ის, თეორემა 2.1.3-ისა და თეორემა 2.1.4-ის ეფექტს ნათლად გამოხატავს შემდეგი შედეგი. ვთქვათ, $\tilde{X}=\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})$.

თეორემა 2.1.5. *ყოველი* B_0*-ზე* $(X,®_X)$ *კომპაქტური მეტრიზებადი სივრცისთვის არსებობს* B_0*-ზე ფიბრანტული გაფართოება* $i_X:(X,®_X)\to(\tilde{X},®_{\tilde{X}})$*. კერძოდ, თუ* $\mathbf{q}:(X,®_X)\to\mathbf{X}=\{(X_n,®_{X_n}),q_n^{n+1},N^+\}$ *არის* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-რეზოლვენტა* B_0*-ზე, მაშინ*

$$\mathbf{i_q}:(X,®_X)\to(\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X}),®_{\mathrm{coTel}_{\mathrm{B}_0}(\mathbf{X})})$$

ჩადგმა არის ფიბრანტული გაფართოება B_0*-ზე.*

დისერტაციაში მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიით ინდუცირებული სივრცეთა კლასიფიკაცია არის უფრო უხეში, ვიდრე ფიბრული ჰომოტოპიის თეორიის მიერ ინდუცირებული სივრცეთა კლასიფიკაცია, მაგრამ არის უფრო სუსტი, ვიდრე ფიბრული შეიპური თეორიით ინდუცირებული სივრცეთა კლასიფიკაცია.

თავი 2-ის მთავარი მიზანია ფიქსირებული B_0 სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეებისთვის კოტელესკოპის და ფიბრანტული სივრცეების ფიბრული ვერსიების გამოყენებით ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის აგება.

აქ აგებული ფიბრული ძლიერი შეიპური კატეგორია არის B_0 სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეების $\mathbf{H(CM_{B_0})}$ ფიბრული ჰომოტოპიის

კატეგორიიდან ფიბრული ფიბრანტული სივრცეების $\mathbf{H(F_{B_0})}$ ფიბრულ ჰომოტოპიის კატეგორიაში ფუნქტორ-რეფლექტორის სრული ანასახი.

თეორემები 2.1.1, 2.1.3, 2.1.4 და 2.1.5 გვაძლევს შემდეგ თეორემას.

თეორემა 2.1.6. *ვთქვათ* $i_X:(X,\circledR_X)\to(\tilde{X},\circledR_{\tilde{X}})$ *არის* $(X,\circledR_X)\in ob(\mathbf{CM_{B_0}})$ *სივრცის ფიბრანტული გაფართოება* B_0*-ზე. მაშინ* $\mathbf{H(CM_{B_0})}$ *კატეგორიის* $[i_X]_{\mathrm{B}_0}:(X,\circledR_X)\to(\tilde{X},\circledR_{\tilde{X}})$ *მორფიზმი არის* $\mathbf{H(F_{B_0})}$*-რეფლექსია.*

$\{i_X:(X,\circledR_X)\to(\tilde{X},\circledR_{\tilde{X}})\}_{(X,\circledR_X)\in ob(\mathbf{H(CM_{B_0})})}$ ოჯახი ინდუცირებს $\mathbf{H(F_{B_0})}$-რეფლექტორს $\mathrm{R}:\mathbf{H(CM_{B_0})}\to\mathbf{H(F_{B_0})}$, რომელიც მოიცემა ფორმულით

$$\mathrm{R}((X,\circledR_X))=(\tilde{X},\circledR_{\tilde{X}}),(X,\circledR_X)\in ob(\mathbf{H(CM_{B_0})})$$

და აკმაყოფილებს პირობებს:

კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეების ყოველი $f:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ ფენების შემნახველი ასახვისათვის კომუტაციურია დიაგრამა

$$\begin{tikzcd}
X \arrow[rr, "{[i_X]_{\mathrm{B}_0}}"] \arrow[dr, "\pi_X"] \arrow[dd, "{[f]_{\mathrm{B}_0}}"'] & & \tilde{X} \arrow[dl, "\pi_{\tilde{X}}"'] \arrow[dd, "R(f)"] \\
& \mathrm{B}_0 & \\
Y \arrow[rr, "{[i_Y]_{\mathrm{B}_0}}"'] \arrow[ur, "\pi_Y"'] & & \tilde{Y}. \arrow[ul, "\pi_{\tilde{Y}}"]
\end{tikzcd}$$

ყოველი B_0-ზე f ასახვისთვის არსებობს ისეთი ერთადერთი ფიბრული ჰომოტოპიური ასახვა $\tilde{f}:(\tilde{X},\circledR_{\tilde{X}})\to(\tilde{Y},\circledR_{\tilde{Y}})$, რომ კომუტაციურია დიაგრამა

$$\begin{tikzcd}
X \arrow[rr, "i_X"] \arrow[dr, "\pi_X"] \arrow[dd, "f"'] & & \tilde{X} \arrow[dl, "\pi_{\tilde{X}}"'] \arrow[dd, "\tilde{f}"] \\
& \mathrm{B}_0 & \\
Y \arrow[rr, "i_Y"'] \arrow[ur, "\pi_Y"'] & & \tilde{Y}. \arrow[ul, "\pi_{\tilde{Y}}"]
\end{tikzcd}$$

ამ შემთხვევაში $(i_X, i_Y): f \to \tilde{f}$ წყვილს ეწოდება ფენების შემნახველი f ასახვის B_0-ზე ფიბრანტული გაფართოება.

განსაზღვრება 2.1.7. B_0 *სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეების ფიბრული ძლიერი შეიპური კატეგორია* $\mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}}$ არის $\mathrm{R}: \mathbf{H}(\mathbf{CM}_{\mathbf{B_0}}) \to \mathbf{H}(\mathbf{F}_{\mathbf{B_0}})$ რეფლექტორის სრული ანასახი.

ფიბრული ძლიერი შეიპური კატეგორიის აგების თანახმად,

$$ob(\mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}}) = ob(\mathbf{H}(\mathbf{CM}_{\mathbf{B_0}})),$$

ყოველი $(X, \circledR_X), (Y, \circledR_Y) \in ob(\mathbf{H}(\mathbf{CM}_{\mathbf{B_0}}))$ B_0-ზე სივრცისთვის

$$\mathrm{Mor}_{\mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}}}((X, \circledR_X), (Y, \circledR_Y)) = [(\tilde{X}, \circledR_{\tilde{X}}), (\tilde{Y}, \circledR_{\tilde{Y}})]_{\mathrm{B}_0}.$$

ფიბრული ძლიერი შეიპური ფუნქტორის განმარტების თანახმად, ყოველი $(X, \circledR_X) \in ob(\mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}})$ ობიექტისთვის

$$\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}((X, \circledR_X)) = (X, \circledR_X)$$

და ყოველი B_0-ზე $f:(X, \circledR_X) \to (Y, \circledR_Y)$ ასახვის B_0-ზე $(i_X, i_Y): f \to \tilde{f}:(\tilde{X}, \circledR_{\tilde{X}}) \to (\tilde{Y}, \circledR_{\tilde{Y}})$ ფიბრანტული გაფართოებისთვის

$$\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}([f]_{\mathrm{B}_0}) = \mathrm{R}([f]_{\mathrm{B}_0}) = [\tilde{f}]_{\mathrm{B}_0}.$$

არსებობს კომუტაციური დიაგრამა

$$\begin{tikzcd}
\mathbf{H}(\mathbf{CM}_{\mathbf{B_0}}) \arrow[rr, "\mathrm{R}"] \arrow[dr, "\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}"'] & & \mathbf{H}(\mathbf{F}_{\mathbf{B_0}}) \\
& \mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}}. \arrow[ur, "\mathrm{J}_{\mathrm{R}}"'] &
\end{tikzcd}$$

ჯ.დიდაკისა და ს.ნოვაკის [Dy-N$_1$] მსგავსად თავი 2-ის პარაგრაფ 2.2-ში განმარტებულია ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.

განსაზღვრება 2.2.1. *ფენების შემნახველ* $f:(X, \circledR_X) \to (Y, \circledR_Y)$ *ასახვას ეწოდება ფიბრული შეიპური ექვივალენტობა, თუ ყოველი* $(P, \circledR_P)$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცისთვის* $f^*:[Y, P]_{\mathrm{B}_0} \to [X, P]_{\mathrm{B}_0}$ *არის ბიექცია.* f *ფიბრულ შეიპურ ექვივალენტობას ეწოდება ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა, თუ ყოველი ორი* $g, h:(Y, \circledR_Y) \to (P, \circledR_P) \in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ *ფენების*

შემნახველი ასახვისთვის $g\,f$ *და* $h\,f$ *ასახვების მაკავშირებელი* $H:(X\times I,®_{X\times I})\to(P,®_P)$ *ფიბრული ჰომოტოპია არის* $X\times\{0,1\}$ *-ის მიმართ ფიბრულად ჰომოტოპიური* H' $(f\times 1_I)$ *კომპოზიციისა, სადაც* $H':(Y\times I,®_{Y\times I})\to(P,®_P)$ *არის ფიბრული ჰომოტოპია* g *და* h *ასახვებს შორის.*

ფიბრული ორმაგი ასახვის ცილინდრის ცნება არის ფრიად სასარგებლო და მარტივი გეომეტრიული შინაარსის მქონე ობიექტი. ის აღმოჩნდა მოსახერხებელი იარაღი ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის კვლევისთვის.

ფენების შემნახველი $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ ასახვის ფიბრული ორმაგი ასახვის ცილინდრი $\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(\mathrm{f})$, ანუ უბრალოდ ორმაგი ასახვის ცილინდრი B_0-ზე, არის B_0-ზე $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(\mathrm{f})\times\mathrm{I}$ სივრცის $X\times I\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(\mathrm{f})\times\{0,1\}$ ქვესივრცე.

ფიბრული ორმაგი ასახვის ცილინდრის მეშვეობით დახასიათებულია ფიბრული ძლიერი შეიპური მორფიზმები. პარაგრაფ 2.2-ში მოძებნილია ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში B_0-ზე ასახვები არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობები. ფიბრული ასახვების სივრცეთა თვისებების მეშვეობით დამტკიცებულია ერთერთი მთავარი

თეორემა 2.2.3. *ვთქვათ* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის* B_0 *-ზე ასახვა. ექვივალენტურია შემდეგი წინადადებები:*

1). f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა* ;

2). B_0 *-ზე მოცემული* $(Z,®_Z)$ *სივრცის* B_0 *-ზე* $(X,®_X)$ *ჩაკეტილი ქვესივრცისთვის, ყოველი* $g:(Z,®_Z)\to(P,®_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ B_0 *-ზე ასახვა გაგრძელებადია* $(Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ *სივრცემდე და ყოველი* B_0 *-ზე ასახვა*

$$H:(Z\times I\cup\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\times I\cup\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(P,®_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$$

გაგრძელებადია $((Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I,®_{(Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I})$ *სივრცემდე;*

3). თუ $(X,®_X)$ არის $(Z,®_Z)$ -ის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ

$$i:(Z,®_Z)\to(Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$$

და

$$j:(Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to((Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I,®_{(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I})$$

ფიბრული ჩადგმები არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობები;

4). თუ $(X,®_X)$ არის $(Z,®_Z)$-ის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ

$$i:(Z,®_Z)\to(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$$

ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა;

5). თუ $(X,®_X)$ არის $(Z,®_Z)$-ის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ

$$i:(Z,®_Z)\to(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$$

ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა;

6). ფიბრული ჩადგმები $k:(X,®_X)\to(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ *და* $l:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I})$ *არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობები*;

7). *ყოველი* B_0*-ზე ასახვა გაგრძელებადია* $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ *სივრცემდე და ყოველი* B_0*-ზე ასახვა*

$$H:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$$

გაგრძელებადია $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I})$ *სივრცემდე.*

თეორემა 2.2.3-დან მიიღება შემდეგი წინადადებები.

შედეგი 2.2.4. *ვთქვათ,* $(X,®_X)$ *არის* B_0*-ზე სივრცე და* $A\subset X$ *.* $i:(A,®_{X|A})\to(X,®_X)$ *ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* i *და*

$$j:(X\times\{0\}\cup A\times I\cup X\times\{1\},®_{X\times\{0\}\cup A\times I\cup X\times\{1\}})\to(X\times I,®_{X\times I})$$

ფიბრული ჩადგმები არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობები.

შედეგი 2.2.5. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა, მაშინ* f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

შედეგი 2.2.6. *თუ* $g:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის ფიბრულად ჰომოტოპიური* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობის, მაშინ* g *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

შედეგი 2.2.7. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *და* $g:(Y,®_Y)\to(Z,®_Z)$ *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობები. მაშინ* $g\,f:(X,®_X)\to(Z,®_Z)$ *კომპოზიცია არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

თეორემა 2.2.8. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *და* $g:(Y,®_Y)\to(Z,®_Z)$ *არის* B_0*-ზე ისეთი ასახვები, რომ* $g\,f$ *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა. თუ* f *და* g *ასახვებს შორის ერთერთი არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა, მაშინ ორივე* f *და* g *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობები.*

შედეგი 2.2.9. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. თუ* $(X,®_X)$ *სივრცეს აქვს* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცის ფიბრული ჰომოტოპიური ტიპი, მაშინ* f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

შემდეგი თეორემა გვიჩვენებს, რომ ფიბრული ორმაგი ასახვის ცილინდრის მეშვეობით შესაძლებელია აღიწეროს $\mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის ფიბრული ძლიერი შეიპური იზომორფიზმები.

თეორემა 2.2.10. *ჩაკეტილი ფიბრული ჩადგმა* $i:(A,®_{X|A})\to(X,®_X)$ *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* i *არის* B_0*-ზე* SSDR *-ასახვა.*

თეორემა 2.2.11. *ვთქვათ* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის* B_0*-ზე კომპაქტურ მეტრიზებად სივრცეებს შორის ფენების შემნახველი ასახვა, ხოლო* $(i_X,i_Y):f\to\tilde{f}$ *არის* f *ასახვის ფიბრანტული გაფართოება* B_0*-ზე. მაშინ* f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\tilde{f}$ *არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა.*

შედეგი 2.2.12. B_0*-ზე კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეებს შორის ფენების შემნახველი ასახვა* f *არის 2.2.1 განმარტების თვალსაზრისით ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}([\mathrm{f}]_{\mathrm{B}_0})$ *არის* $\mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ *კატეგორიის იზომორფიზმი.*

სადისერტაციო ნაშრომის თავი 3-ში აგებულია და განვითარებულია ფიქსირებული მეტრიზებადი B_0 სივრცის მიმართ განხილული ნებისმიერი ტოპოლოგიური სივრცეების ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია. აქ განხილული მიდგომა წარმოადგენს მარდეშიჩ-ლისიცას მეთოდის განზოგადებას და ის მარდეშიჩის მიერ შემოტანილი რეზოლვენტის ნაცვლად იყენებს რეზოლვენტის ვ.ბალაძის ფიბრულ ვერსიას. ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია გვაძლევს B_0-ზე სივრცეების ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც არის უფრო სუსტი, ვიდრე ფიბრული ჰომოტოპიური თეორიის მიერ ინდუცირებული B_0-ზე სივრცეების კლასიფიკაცია, მაგრამ არის უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვეულებრივი ფიბრული შეიპური თეორიის მიერ წარმოქმნილი B_0-ზე სივრცეთა კლასიფიკაცია.

ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის აგება იყენებს ფიბრული ძლიერი ANR_{B_0}-გაფართოების ცნებას. B_0-ის მიმართ განხილული სივრცეების ფიბრული ძლიერი გაფართოება არის B_0-ზე სივრცეებიდან B_0-ზე სივრცეებისაგან შემდგარ შებრუნებულ სისტემებში $\mathbf{pro-Top_{B_0}}$ კატეგორიის მორფიზმები, რომლებიც აკმაყოფილებს ვ.ბალაძის მიერ განმარტებული ANR_{B_0}-გაფართოების ფიბრული ჰომოტოპიური პირობების ძლიერ ვერსიას.

პარაგრაფ 3.1-ში დამტკიცებულია, რომ B_0-ზე სივრცეების ფიბრული რეზოლვენტები ინდუცირებს B_0-ზე სივრცეთა ფიბრულ ძლიერ გაფართოებებს. ფიბრული ძლიერი შეიპური $\mathbf{SSH_{B_0}}$ კატეგორიის აგებისას არსებითად გამოიყენება ეს შედეგი.

პარაგრაფ 3.1-ში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შემდეგი ცნებები და შედეგები.

ვთქვათ, $\mathcal{U} = \{U_{\sim}\}_{\sim \in A}$ არის B_0-ზე $(Y, \circledR_Y)$ სივრცის დაფარვა. ვიტყვით, რომ $f, g : (X, \circledR_X) \to (Y, \circledR_Y)$ ფენების შემნახველი ასახვები არის $\mathcal{U}$-მახლობელი, თუ ყოველი $x \in X$ წერტილისთვის არსებობს ისეთი $U_{\sim} \in \mathcal{U}$ ელემენტი, რომ $f(x), g(x) \in U_{\sim}$. ასევე, ვიტყვით, რომ $H : (X \times I, \circledR_{X \times I}) \to (Y, \circledR_Y)$ ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს f და g ასახვებს, არის $\mathcal{U}$-ფიბრული ჰომოტოპია, თუ ყოველი

$x \in X$ წერტილისთვის არსებობს ისეთი $U_{\sim} \in \mathcal{U}$ ელემენტი, რომ ნებისმიერი $t \in I$ რიცხვისთვის $H(x,t) \subseteq U_{\sim}$.

წინადადება 3.1.1. (შეადარე $[\mathrm{B}_5]$, წინადადება 7) *ვთქვათ,* $(Y,\circledR_Y)$ *არის* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ *-სივრცე. მაშინ* $(Y,\circledR_Y)$ *სივრცის ყოველი* $\mathcal{U}$ *ღია დაფარვისთვის არსებობს* $(Y,\circledR_Y)$ *სივრცის ისეთი* $\mathcal{V}$ *ღია დაფარვა, რომ როცა ორი* $f,g:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ *ფენების შემნახველი ასახვა ნებისმიერ* $(X,\circledR_X)$ *ტოპოლოგიური სივრციდან* $(Y,\circledR_Y)$ *ტოპოლოგიურ სივრცეში არის* $\mathcal{V}$ *-მახლობელი, მაშინ არსებობს* f *და* g *ასახვების მაკავშირებელი ფენების შემნახველი* $\mathcal{U}$ *-ჰომოტოპია* $H:(X\times I,\circledR_{X\times I})\to(Y,\circledR_Y)$. *გარდა ამისა, თუ* $A\subseteq X$ *ქვესიმრავლისათვის* $f_{|A}=g_{|A}$, *მაშინ* H *არის ფენების შემნახველი ჰომოტოპია* A *ქვესივრცის მიმართ.*

განსაზღვრება 3.1.4.(ვ.ბალაძე, იხ. $[\mathrm{B}_4]$–$[\mathrm{B}_6]$). *ვთქვათ,* $(X,\circledR_X)$ *არის* B_0*-ზე სივრცე,* $\mathbf{X}=((X_{\sim},\circledR_{X_{\sim}}),p_{\sim\sim'},\mathscr{A})$ $\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0}$ *კატეგორიის შებრუნებული სისტემა, ხოლო* $\mathbf{p}=(p_{\sim}):(X,\circledR_X)\to\mathbf{X}$ $\mathbf{pro-Top}_{\mathbf{B}_0}$ *კატეგორიის მორფიზმი.* $\mathbf{p}$ *მორფიზმს ეწოდება* B_0*-ზე* $(X,\circledR_X)$ *სივრცის ფიბრული გაფართოება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:*

$\mathsf{E}_{\mathrm{B}_0}1)$. *ყოველი* $(P,\circledR_P)$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცისთვის და* $f:(X,\circledR_X)\to(P,\circledR_P)$ *ფენების შემნახველი ასახვისთვის არსებობს ისეთი* $\sim\in\mathscr{A}$ *ინდექსი და ისეთი* $h:(X_{\sim},\circledR_{X_{\sim}})\to(P,\circledR_P)$ *ფენების შემნახველი ასახვა, რომ* $h\,p_{\sim}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq} f$.

$\mathrm{E}_{\mathrm{B}_0}2)$. *თუ* $f,f':(X_{\sim},\circledR_{X_{\sim}})\to(P,\circledR_P)$ *არის ფენების შემნახველი ასახვები,* $(P,\circledR_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ *და* $f\,p_{\sim}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq} f'\,p_{\sim}$, *მაშინ არსებობს ისეთი* $\sim'\geq\sim$ *ინდექსი, რომ* $f\,p_{\sim\sim'}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq} f'\,p_{\sim\sim'}$.

განსაზღვრება 3.1.5. $\mathbf{p}:(X,\circledR_X)\to((X_{\sim},\circledR_{X_{\sim}}),p_{\sim\sim'},\mathscr{A})$ მორფიზმს ეწოდება B_0-ზე ძლიერი გაფართოება, თუ ის აკმაყოფილებს $\mathsf{E}_{\mathrm{B}_0}1)$ პირობას და შემდეგ პირობას:

$\mathsf{SE}_{\mathrm{B}_0}2)$. ვთქვათ, $(P,\circledR_P)$ არის $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცე, $f_0,f_1:(X_{\sim},\circledR_{X_{\sim}})\to(P,\circledR_P)$, $\sim\in\mathscr{A}$ ფენების შემნახველი ასახვები, ხოლო $F:(X\times I,\circledR_{X\times I})\to(P,\circledR_P)$ ისეთი ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ

$$S(x,0)=f_0\,p_{\sim}(x),\quad x\in X$$

და

$$S(x,1) = f_1 p_{\sim}(x), \quad x \in X$$

მაშინ არსებობს ისეთი $\sim' \geq \sim$ ინდექსი და $H:(X_{\sim'} \times I, \circledR_{X_{\sim'} \times I}) \to (P, \circledR_P)$ ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ

$$H(x,0) = f_0 p_{\sim\sim'}(z), \quad z \in X_{\sim'}$$

$$H(x,1) = f_1 p_{\sim\sim'}(z), \quad z \in X_{\sim'}$$

$$H(p_{\sim'} \times 1_I) \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} S(\mathrm{rel}(X \times \partial I)).$$

ყოველი ძლიერი გაფართოება B_0-ზე არის გაფართოება B_0-ზე.

თუ ყოველი $X_{\sim} \in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$, მაშინ $\mathbf{p}$ გაფართოებას B_0-ზე და ძლიერ გაფართოებას B_0-ზე ეწოდება $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-გაფართოება და ძლიერი $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-გაფართოება, შესაბამისად.

პარაგრაფ 3.1-ის ერთერთი მთავარი შედეგია შემდეგი

თეორემა 3.1.6. *ვთქვათ,* $(X, \circledR_X)$ *არის ტოპოლოგიური სივრცე* B_0*-ზე. მაშინ ყოველი* B_0*-ზე რეზოლვენტა* $\mathbf{p}:(X, \circledR_X) \to \mathbf{X}$ *ინდუცირებს* B_0*-ზე ძლიერ* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-გაფართოებას.*

შედეგი 3.1.7. *ყოველი* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-რეზოლვენტა* B_0*-ზე ინდუცირებს* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-გაფართოებას* B_0*-ზე.*

შედეგი 3.1.8. *ყოველი* $(X, \circledR_X)$ B_0*-ზე სივრცისთვის არსებობს კოსასრული ძლიერი* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-გაფართოება* B_0*-ზე.*

თეორემა 3.1.6-ის დამტკიცება მიმდინარეობს შემდეგი ლემების გამოყენებით.

ლემა 3.1.9. *ვთქვათ,* $(X, \circledR_X)$ *არის ტოპოლოგიური სივრცე მეტრიზებად* B_0*-სივრცეზე,* $(P, \circledR_P), (P', \circledR_{P'})$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცეები,* $f:(X, \circledR_X) \to (P', \circledR_{P'})$, $h_0, h_1 : (P', \circledR_{P'}) \to (P, \circledR_P)$ ფენების შენახველი ასახვები, ხოლო $S:(X \times I, \circledR_{X \times I}) \to (P, \circledR_P)$ ისეთი ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ

$$S(x,0) = h_0 f(x), \quad x \in X$$

$$S(x,1) = h_1 f(x), \quad x \in X$$

მაშინ არსებობს ისეთი $(P'', \circledR_{P''})$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცე, $f':(X, \circledR_X) \to (P'', \circledR_{P''})$, $h:(P'', \circledR_{P''}) \to (P', \circledR_{P'})$ ფენების შემნახველი ასახვები და $K:(P'' \times I, \circledR_{P'' \times I}) \to (P, \circledR_P)$ ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ

$$h\,f' = f,$$

$$K(z,0) = h_0 h(z), \quad z \in P'',$$

$$K(z,1) = h_1\, h(z), \quad z \in P'',$$

$$K\,(f' \times 1_I\,) = S\,.$$

ლემა 3.1.10. *ვთქვათ,* $\mathbf{p}:(X,®_X) \to \mathbf{X}$ *არის რეზოლვენტა* B_0*-ზე, ხოლო* $\sim, (P,®_P), f_0, f_1$ *და* S *შესაბამისად არის ისეთი ინდექსი,* B_0*-ზე სივრცე და ფენების შემნახველი ასახვები, რომლებიც აკმაყოფილებს* $\mathrm{SE}_{\mathrm{B}_0}$ 2) *პირობის მოთხოვნებს. მაშინ* $(P,®_P)$ *სივრცის ყოველი* $\mathcal{U}$ *ღია დაფარვისთვის არსებობს ისეთი* $\sim' \geq \sim$ *ინდექსი და ისეთი ფენების შემნახველი* $H:(X_{\sim'} \times I, ®_{X_{\sim'}\times I}) \to (P,®_P)$ *ჰომოტოპია, რომ*

$$H(y,0) = f_0\, p_{\sim\sim'}(y), \qquad y \in X_{\sim'}$$

$$H(y,1) = f_1\, p_{\sim\sim'}(y), \qquad y \in X_{\sim'}$$

$$(S, H(1 \times p_{\sim'})) \leq \mathcal{U}.$$

თავი 3-ის პარაგრაფ 3.2-ში აგებულია $\mathbf{CPHTop}_{\mathbf{B}_0}$ ფენების შემნახველი კოჰერენტული პროჰომოტოპიის კატეგორია. ამ კატეგორიის ობიექტებია მიმართულ კოსასრულ სიმრავლეზე მოცემული B_0-ზე ტოპოლოგიური სივრცეებისა და ფენების შემნახველი ასახვებისაგან შემდგარი შებრუნებული სისტემები, ხოლო მორფიზმები $f:\mathbf{X} \to \mathbf{Y}$ ფენების შემნახველი კოჰერენტული ასახვის ფენების შემნახველი კოჰერენტული ჰომოტოპიის $[f]:\mathbf{X} \to \mathbf{Y}$ კლასები.

არსებობს $\mathrm{C}:\mathbf{pro}-\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0} \to \mathbf{CPHTop}_{\mathbf{B}_0}$ და $\mathrm{E}:\mathbf{CPHTop}_{\mathbf{B}_0} \to \mathbf{pro}-\mathbf{HTop}_{\mathbf{B}_0}$ ფუნქტორები. $\mathrm{E}\cdot\mathrm{C}:\mathbf{pro}-\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0} \to \mathbf{pro}-\mathbf{HTop}_{\mathbf{B}_0}$ კომპოზიცია არის ფენების შემნახველი $\mathrm{H}:\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0} \to \mathbf{HTop}_{\mathbf{B}_0}$ ფიბრული ჰომოტოპიური ფუნქტორით ინდუცირებული ფუნქტორი.

$\mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის ობიექტებია B_0-ზე ყველა შესაძლო ტოპოლოგიური სივრცეები,ხოლო $\mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის მორფიზმები განიმარტება შემდეგნაირად.

ვთქვათ, $\mathbf{p}:(X,®_X) \to \mathbf{X}$ და $\mathbf{q}:(Y,®_Y) \to \mathbf{Y}$ შესაბამისად არის $(X,®_X)$ და $(Y,®_Y)$ სივრცეების $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-რეზოლვენტები, ხოლო $[f]:\mathbf{X} \to \mathbf{Y}$ არის $\mathbf{CPHTop}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის რაიმე მორფიზმი. ვთქვათ $\mathbf{p}':(X,®_X) \to \mathbf{X}'$, $\mathbf{q}':(Y,®_Y) \to \mathbf{Y}'$, $[f']:\mathbf{X}' \to \mathbf{Y}'$ არის B_0-ზე

$(X, ®_X)$ და $(Y, ®_Y)$ სივრცეთა სხვა $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-რეზოლვენტები და $\mathbf{CPHTop}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის მორფიზმი.

$(\mathbf{p}, \mathbf{q}, [f])$ და $(\mathbf{p}', \mathbf{q}', [f'])$ სამეულებს ეწოდება ექვივალენტური, თუ $[f'][i] = [j][f]$, სადაც $[i]: \mathbf{X} \to \mathbf{X}'$ და $[j]: \mathbf{Y} \to \mathbf{Y}'$ არის $\mathbf{CPHTop}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის იზომორფიზმები.

ფიბრული ძლიერი შეიპური მორფიზმი $\mathrm{F}: (X, ®_X) \to (Y, ®_Y)$ არის $(\mathbf{p}, \mathbf{q}, [f])$ სამეულის ექვივალენტობის კლასი განმარტებული ექვივალენტური მიმართების მიმართ.

$\mathrm{ssh}_{\mathrm{B}_0}((X, ®_X))$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ $(X, ®_X)$ ტოპოლოგიური სივრცის ექვივალენტობის კლასი $\mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიაში და ვუწოდოთ $(X, ®_X)$ სივრცის ფიბრული ძლიერი შეიპი.

პარაგრაფ 3.2-ში აგებულია $\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}: \mathbf{HTop}_{\mathbf{B}_0} \to \mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ ფიბრული ძლიერი შეიპური ფუნქტორი და $\mathrm{S}: \mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0} \to \mathbf{SH}_{\mathbf{B}_0}$ ფუნქტორი ვ.ბალაძის ფიბრულ შეიპურ კატეგორიაში. დამტკიცებულია ერთერთი მთავარი შედეგი.

თეორემა 3.2.5. *კომუტაციურია შემდეგი დიაგრამა*

$$\begin{tikzcd} & \mathbf{SH}_{\mathbf{B}_0} \\ \mathbf{HTop}_{\mathbf{B}_0} \arrow[ur, "\mathrm{S}_{\mathrm{B}_0}"] \arrow[dr, "\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}"'] & \\ & \mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}, \arrow[uu, "\mathrm{S}"'] \end{tikzcd}$$

სადაც $\mathrm{S}_{\mathrm{B}_0}$ *არის ვ.ბალაძის ფიბრული შეიპური ფუნქტორი* $[\mathrm{B}_4]$.

შედეგი 3.2.6. *ვთქვათ* $(X, ®_X)$ *და* $(Y, ®_Y)$ *არის* B_0*-ზე ტოპოლოგიური სივრცეები. თუ* $\mathrm{ssh}_{\mathrm{B}_0}((X, ®_X)) = \mathrm{ssh}_{\mathrm{B}_0}((Y, ®_Y))$, *მაშინ* $\mathrm{sh}_{\mathrm{B}_0}((X, ®_X)) = \mathrm{sh}_{\mathrm{B}_0}((Y, ®_Y))$.

თავი 1

ფიბრაციული ძლიერი შეიპური დეფორმაციული რეტრაქტები და ფიბრანტული სივრცეები

თავი 1 ეძღვნება ფენოვანი ტოპოლოგიის მიმოხილვას, დაწყებულს საბაზისო თეორიით და გაგრძელებულს ფენოვანი ჰომოტოპიის თეორიის და ფენოვანი რეტრაქტების თეორიის რჩეული და სპეციალური საკითხებით. პირველი თავი აგრეთვე ეხება ბორსუკის ფიბრულ წყვილებს, ძლიერ შეიპურ დეფორმაციულ ასახვებს და ფიბრანტულ სივრცეებს.

1.0 ფენოვანი ტოპოლოგიური წინასიტყვაობების და დამხმარე ფაქტების შესახებ

ამ პარაგრაფში მოცემულია ძირითადი ცნებები და შედეგები, რომლებსაც შემდეგში ვიყენებთ.

ვთქვათ $\mathrm{R}: \mathscr{K} \to \mathscr{L}$ არის ფუნქტორი $\mathscr{K}$ კატეგორიიდან $\mathscr{L}$ კატეგორიაში. **fimR** არის R ფუნქტორის სრული ანასახი, ხოლო R ფუნქტორის ფაქტორიზაცია

$$\begin{tikzcd} \mathscr{K} \arrow[rr, "\mathrm{R}"] \arrow[dr, "\mathrm{E}"'] & & \mathscr{L} \\ & \mathbf{fimR}, \arrow[ur, "\mathrm{J}"'] & \end{tikzcd}$$

სადაც E იგივური ფუნქტორია $\mathscr{K}$ კატეგორიის ობიექტზე და J სრული ანასახი.

ვთქვათ $\mathscr{L}$ არის $\mathscr{P}$ კატეგორიის სრული ქვეკატეგორია. მაშინ $\mathrm{Mor}_{\mathscr{P}}(X,Y)$ სიმრავლის $^{2}: X \to Y$ ელემენტს $Y \in ob(\mathscr{L})$ ობიექტით ეწოდება X სივრცის $\mathscr{L}$ - რეფლექცია, თუ ყოველი $L \in ob(\mathscr{L})$ ობიქტისთვის $^{2\,\#}: \mathscr{L}(Y,L) \to \mathscr{P}(X,L)$ ფუნქცია

არის ბიექცია. ვთქვათ $\mathscr{K} \subseteq \mathscr{P}$ არის $\mathscr{P}$ კატეგორიის ქვეკატეგორია და ვთქვათ $\{^{2}_{X} : X \to \mathrm{R}X\}_{X \in ob(\mathscr{K})}$ არის $\mathscr{L}$ -რეფლექციათა ოჯახი, სადაც R არის ფუნქცია $\mathscr{K}$ კატეგორიის ობიექტების სიმრავლიდან $\mathscr{L}$ კატეგორიის ობიექტების სიმრავლეში. ცხადია, რომ R ინდუცირებს $\mathrm{R} : \mathscr{K} \to \mathscr{L}$ ფუნქტორს. განმარტების თანახმად, $\mathrm{Mor}_{\mathscr{K}}(A, X)$ სიმრავლის ყოველი $f : A \to X$ ელემენტისთვის, $\mathrm{R}\,f$ არის მორფიზმი $\mathrm{R}f : \mathrm{R}A \to \mathrm{R}X$ ისეთი, რომ $(\mathrm{R}\,f) \cdot {}^{2}_{A} = {}^{2}_{X} \cdot f$. აგებულ ფუნქტორს ეწოდება $\mathscr{K}$ რეფლექტორი ან რეფლექცია $\mathscr{L}$ კატეგორიაში.

$\mathscr{K}$ კატეგორიის ყოველი ფიქსირებული B_0 ობიექტისთვის $\mathscr{K}_{\mathbf{B_0}}$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ შემდეგი კატეგორია. $\mathscr{K}_{\mathbf{B_0}}$ კატეგორიის $(X, \circledR_X)$ ობიექტები შედგება $X \in ob(\mathscr{K})$ ობიექტისა და $\mathrm{Mor}_{\mathscr{K}}(X, Y)$ სიმრავლის $\circledR_X : X \to B_0$ მორფიზმის წყვილისაგან, რომელსაც პროექცია ეწოდება.

$\mathscr{K}_{\mathbf{B_0}}$ კატეგორიის მორფიზმი არის $\mathscr{K}$ კატეგორიის $f : X \to Y$ მორფიზმი შემდეგი თვისებით

$$\circledR_X = \circledR_Y \cdot f \ .$$

ამ მორფიზმებს ეწოდება B_0-ზე მორფიზმები.

Top, **M** და **CM** სიმბოლოებით აღვნიშნოთ შესაბამისად ტოპოლოგიურ სივრცეთა, მეტრიზებად სივრცეთა და კომპაქტურ მეტრიზებად სივრცეთა კატეგორიები. ცხადია, მოცემული კატეგორიების ფიქსირებული B_0 ობიექტისთვის არსებობს $\mathbf{Top}_{\mathbf{Bo}}$, $\mathbf{M}_{\mathbf{Bo}}$ და $\mathbf{CM}_{\mathbf{Bo}}$ კატეგორიები.

B_0-ზე მოცემული რომელიმე კატეგორიის ყოველი $(X, \circledR_X)$ ობიექტისთვის $(X \times Z, \circledR_{X \times Z})$, სადაც Z არის ტოპოლოგიური სივრცე და $\circledR_{X \times Z}$ არის პროექცია მოცემული

$$\circledR_{X \times Z}(x, z) = \circledR_X(x), (x, z) \in X \times Z$$

ფორმულით, არის B_0-ზე სივრცე. შევნიშნოთ, რომ $p_X : X \times Z \to X$ არის B_0-ზე ასახვა.

ვთქვათ Y^Z არის ფუნქციათა სივრცე კომპაქტური-ღია ტოპოლოგიით. განვიხილოთ Y^Z სივრცის $Y^Z_{\mathrm{B}_0}$ ქვესივრცე:

$$Y^{Z}_{\mathrm{B}_0} = \{ f \in Y^Z : ® _Y \cdot f = \mathrm{const} \}.$$

ვთქვათ $®_{Y^Z_{\mathrm{B}_0}} : Y^Z_{\mathrm{B}_0} \to \mathrm{B}_0$ არის ასახვა მოცემული ფორმულით

$$®_{Y^Z_{\mathrm{B}_0}}(f) = ®_Y(f(z)), z \in Z.$$

ცხადია, რომ $(Y^Z_{\mathrm{B}_0}, ®_{Y^Z_{\mathrm{B}_0}})$ წყვილი არის B_0-ზე სივრცე.

ექსპონენციალური კანონის თანახმად არსებობს B_0-ზე ჰომეომორფიზმი

$$E : (Y, ®_Y)^{(X \times Z, ®_{X \times Z})} \to (Y^Z_{\mathrm{B}_0}, ®_{Y^Z_{\mathrm{B}_0}})^{(X, ®_X)}$$

მოცემული

$$(E(H)(x))(z) = H(x,z), H : (X \times Z, ®_{X \times Z}) \to (Y, ®_Y), x \in X, z \in Z.$$

ფორმულით.

ვთქვათ $f, g : (X, ®_X) \to (Y, ®_Y)$ არის B_0-ზე ასახვები და $I = [0,1]$. ფენობრივი ჰომოტოპია f და g ასახვებს შორის ეწოდება ისეთ B_0-ზე $H : (X \times I, ®_{X \times I}) \to (Y, ®_Y)$ ასახვას, რომ $H_0 = f$ და $H_1 = g$.

H ფიბრულ ჰომოტოპიას f და g ასახვებ შორის აღვნიშნავთ $H : f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} g$, და ასევე ვუწოდებთ B_0-ზე ჰომოტოპიას. f ფიბრული ასახვის ფიბრული ჰომოტოპიის კლასს აღვნიშნავთ $[f]_{\mathrm{B}_0}$ სიმბოლოთი. ყველა შესაძლო ფიბრული ჰომოტოპიის კლასების სიმრავლეს აღვნიშნავთ $[X, Y]_{\mathrm{B}_0}$ სიმბოლოთი. $\mathbf{H}(\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0})$, $\mathbf{H}(\mathbf{M}_{\mathbf{B}_0})$ და $\mathbf{H}(\mathbf{CM}_{\mathbf{B}_0})$ სიმბოლოებით შესაბამისად აღვნიშნავთ $\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0}$, $\mathbf{M}_{\mathbf{B}_0}$ და $\mathbf{CM}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიების ფიბრული ჰომოტოპიის კატეგორიებს.

ექსპონეციალური წესის თანახმად B_0-ზე ჰომოტოპია $H : (X \times I, ®_{X \times I}) \to (Y, ®_Y)$ ინდუცირებს B_0-ზე $E(H) : (X, ®_X) \to (Y^I_{\mathrm{B}_0}, ®_{Y^I_{\mathrm{B}_0}})$ ასახვას, სადაც $Y^I_{\mathrm{B}_0} = \{ f : I \to Y \mid ®_Y \cdot f = \mathrm{const} \}$ და $®_{Y^I_{\mathrm{B}_0}}$ არის ასახვა განსაზღვრული ფორმულით

$$®_{Y^I_{\mathrm{B}_0}}(f) = ®_Y(f(t)), t \in I, f \in Y^I_{\mathrm{B}_0}.$$

ახლა განვმარტოთ რამდენი ასახვა, რომლებსაც შემდეგში გამოვიყენებთ.

$\mu_0 : Y^I_{B_0} \to (Y, ®_Y)$ და $\mu_1 : Y^I_{B_0} \to (Y, ®_Y)$ არის ასახვები, რომლებიც შესაბამისად მოცემულია

$$\mu_0(¨) = ¨(0), \qquad ¨ \in Y^I_{B_0},$$

$$\mu_1(¨) = ¨(1), \qquad ¨ \in Y^I_{B_0},$$

ფორმულებით.

ყოველი $t \in I$ რიცხვისთვის არსებობს B_0-ზე ჩადგმის ასახვა $\pm_t : (X, ®_X) \to (X \times I, ®_{X \times I})$ მოცემული

$$\pm_t(x) = (x, t), \qquad x \in X$$

ფორმულით.

ვთქვათ $j : L \to K$ არის ასახვა. $j^* : P^K_{B_0} \to P^L_{B_0}$ არის B_0-ზე ასახვა მოცემული

$$j^*(u) = u \cdot j, \qquad u \in P^K_{B_0}.$$

ფორმულით.

არსებობს ფიბრული ჰომოტოპიური ფუნქტორი

$$\mathrm{H} : \mathbf{Top}_{\mathbf{B_0}} \to \mathbf{H}(\mathbf{Top}_{\mathbf{B_0}})$$

მოცემული

$$\mathrm{H}(f) = [f]_{B_0}, \qquad f \in \mathrm{Mor}_{\mathbf{Top}_{\mathbf{B_0}}}(X, Y)$$

და

$$\mathrm{H}((\mathrm{X}, ®_{\mathrm{X}})) = (\mathrm{X}, ®_{\mathrm{X}}), \qquad (\mathrm{X}, ®_{\mathrm{X}}) \in \mathrm{ob}(\mathbf{Top}_{\mathbf{B_0}})$$

ფორმულებით.

ვთქვათ $A \subset X$ და $®_A = ®_{X|_A}$. B_0-ზე $r : (X, ®_X) \to (A, ®_A)$ ასახვა არის B_0-ზე ფენობრივი რეტრაქცია, თუ $r \cdot i = 1_A$ და, თუ დამატებით სრულდება, $i \cdot r \simeq_{B_0} 1_A$, მაშინ

r ეწოდება ფენობრივი დეფორმაციული რეტრაქცია ან B_0-ზე დეფორმაციული რეტრაქცია.

B_0-ზე X მეტრიკული სივრცის A ქვესივრცეს ეწოდება X-ის ფიბრული მიდამოებრივი რეტრაქტი თუ არსებობს A ქვესივრცის U ღია მიდამო X-ში და ფიბრული რეტრაქცია $r:U \to A$.

B_0-ზე $r:(X,®_X)\to(A,®_A)$ დეფორმაციულ რეტრაქციას ეწოდება B_0-ზე ძლიერი დეფორმაციული რეტრაქცია ან B_0-ზე $\mathrm{SDR}_{\mathrm{B}_0}$-ასახვა, თუ $i\cdot r \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} 1_X$ $\mathrm{rel}A$.

აქედან გამომდინარე, არსებობს $\tilde{X}$ სივრცის $\tilde{D}_n:(\tilde{X}\times I,®_{\tilde{X}\times I})\to(\tilde{X}_n,®_{\tilde{X}_n})$ B_0-ზე დეფორმაციები $F_n=\tilde{q}_n^{-1}i_n(X_n)$ სივრცეში. $\{F_n\}$ ოჯახი არის $\tilde{X}$ სივრცის ჩაკეტილ ქვესიმრავლეთა კლებადი სისტემა, ე.ი. ყოველი $n\geq 0$ მთელი რიცხვისთვის

$$\tilde{X}=F_0\supset F_1\supset\ldots\supset F_n\supset F_{n+1}\supset i_{\mathbf{q}}(X).$$

რადგან $\mathbf{q}$ არის B_0-ზე რეზოლვენტა, ამიტომ $i_{\mathbf{q}}(X)$ ქვესივრცის $(\tilde{X},®_{\tilde{X}})$ სივრცეში ყოველი $\tilde{U}$ მიდამოსთვის არსებობს ისეთი m ინდექსი, რომ $F_m\subset\tilde{U}$. ცხადია, არსებობს n ინდექსი და $q_n(i_{\mathbf{q}}(X))$ ქვესივრცის $(\tilde{X}_n,®_{\widetilde{X_n}})$ სივრცეში ისეთი $\tilde{V}$ მიდამო, რომ $\tilde{q}_n^{-1}(\tilde{V})\subset\tilde{U}$. ვთქვათ, $V=\tilde{i}_n^{-1}(\tilde{U})$ და $q_n(X)\subset V\subset X_n$. ასევე არსებობს ისეთი $m\geq n$ ინდექსი, რომლისთვისაც $q_n^m(X_m)\subset V$ და $\tilde{q}_n^m(i_m(X_m))\subset\tilde{V}$. შევნიშნოთ, რომ

$$F_m=\tilde{q}_m^{-1}(\tilde{i}_m(X_m))\subseteq\tilde{q}_n^{-1}(\tilde{q}_n^m(\tilde{i}_m(X_m)))\subseteq\tilde{q}_n^{-1}(\tilde{V})\subset\tilde{U}.$$

აქედან გამომდინარე, B_0-ზე ძლიერი დეფორმაციები D_i ინდუცირებს თეორემის პირობის შესაბამის უსასრულო B_0-ზე დეფორმაციებს $D:\mathrm{coTel}_{B_0}(\mathbf{X})\times[0,+\infty)\to\mathrm{coTel}_{B_0}(\mathbf{X})$. □

თეორემა 2.1.1-ის, თეორემა 2.1.3-ისა და თეორემა 2.1.4-ის ეფექტს ნათლად გამოხატავს შემდეგი შედეგი. ვთქვათ $\tilde{X}=\mathrm{coTel}_{B_0}(\mathbf{X})$.

თეორემა 2.1.5. *ყოველი* B_0*-ზე* $(X,®_X)$ *კომპაქტური მეტრიზებადი სივრცისთვის არსებობს* B_0*-ზე ფიბრანტული გაფართოება* $i_X:(X,®_X)\to(\tilde{X},®_{\tilde{X}})$. *კერძოდ, თუ* $\mathbf{q}:(X,®_X)\to\mathbf{X}=\{(X_n,®_{X_n}),q_n^{n+1},N^+\}$ *არის* ANR_{B_0}*-რეზოლვენტა* B_0*-ზე, მაშინ*

$$i_{\mathbf{q}}:(X,®_X)\to(\mathrm{coTel}_{B_0}(\mathbf{X}),®_{\mathrm{coTel}_{B_0}(\mathbf{X})})$$

ჩადგმა არის ფიბრანტული გაფართოება B_0*-ზე.* □

თავი 2-ის მთავარი მიზანია ფიქსირებული B_0 სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეებისთვის კოტელესკოპის და ფიბრანტული

სივრცეების ფიბრული ვერსიების გამოყენებით ფიბრული ძლიერი შეიპური თეორიის აგება.

ახლა განვმარტოთ ფიბრული ძლიერი შეიპური კატეგორია $\mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}}$ B_0-ზე სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეებისთვის, როგორც რაიმე ფუნქტორ-რეფლექტორის სრული ანასახი. აქ განვიხილავთ B_0 სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეების $\mathbf{H(CM_{B_0})}$ ფიბრული ჰომოტოპიის კატეგორიიდან ფიბრული ფიბრანტული სივრცეების $\mathbf{H(F_{B_0})}$ ფიბრულ ჰომოტოპიის კატეგორიაში ფუნქტორ რეფლექტორს.

ვთქვათ, $(X, ®_X) \in ob(\mathbf{CM_{B_0}})$ და $i_X : (X, ®_X) \to (\tilde{X}, ®_{\tilde{X}})$ არის ფიბრული გაფართოება B_0-ზე. ნებისმიერი $f : (X, ®_X) \to (Y, ®_Y)$ B_0-ზე ასახვისთვის, სადაც $(Y, ®_Y)$ არის ფიბრანტული სივრცე B_0-ზე, არსებობს $\tilde{f} : (\tilde{X}, ®_{\tilde{X}}) \to (Y, ®_Y)$ B_0-ზე ასახვა, ისეთი რომ კომუტაციურია შემდეგი დიაგრამა

$$\begin{tikzcd}
X \arrow[rr, "i_X"] \arrow[dr, "\pi_X"] \arrow[ddr, "f"'] & & \tilde{X} \arrow[dl, "\pi_{\tilde{X}}"'] \arrow[ddl, "\tilde{f}"] \\
& \mathrm{B}_0 & \\
& Y \arrow[u, "\pi_Y"'] &
\end{tikzcd}$$

ე.ი. $f = \tilde{f} \cdot i_X$. თეორემა 1.1.2-დან გამომდინარეობს, რომ თუ $f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} f' : (\tilde{X}, ®_{\tilde{X}}) \to (Y, ®_Y)$ და $\tilde{f}' \cdot i_X = f'$, მაშინ $\tilde{f} \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} \tilde{f}'$. აქედან გამომდინარე, ასახვა

$$[i_X]^{\#}_{\mathrm{B}_0} : [\tilde{X}, Y]_{\mathrm{B}_0} \to [X, Y]_{\mathrm{B}_0}$$

მოცემული ფორმულით

$$[i_X]^{\#}_{\mathrm{B}_0}([\tilde f]_{\mathrm{B}_0}) = [\tilde f \cdot i_X]_{\mathrm{B}_0}$$

არის ბიექცია. ამრიგად, სამართლიანია შემდეგი

თეორემა 2.1.6. *ვთქვათ* $i_X : (X, \circledR_X) \to (\tilde X, \circledR_{\tilde X})$ *არის* $(X, \circledR_X) \in \mathbf{CM}_{\mathbf{B_0}}$ *სივრცის ფიბრანტული გაფართოება* B_0*-ზე. მაშინ* $\mathbf{H(CM_{B_0})}$ *კატეგორიის* $[i_X]_{\mathrm{B}_0} : (X, \circledR_X) \to (\tilde X, \circledR_{\tilde X})$ *მორფიზმი არის* $\mathbf{H(F_{B_0})}$*-რეფლექცია.* □

$\{i_X : (X, \circledR_X) \to (\tilde X, \circledR_{\tilde X})\}_{(X, \circledR_X) \in ob(\mathbf{H(CM_{B_0})})}$ ოჯახი ინდუცირებს $\mathbf{H(F_{B_0})}$-რეფლექტორს

$$\mathrm{R} : \mathbf{H(CM_{B_0})} \to \mathbf{H(F_{B_0})}$$

რომელიც მოიცემა ფორმულით

$$\mathrm{R}((X, \circledR_X)) = (\tilde X, \circledR_{\tilde X}), (X, \circledR_X) \in ob(\mathbf{H(CM_{B_0})})$$

და აკმაყოფილებს პირობებს:

კომპაქტური მეტრიზება სივრცეების ყოველი $f : (X, \circledR_X) \to (Y, \circledR_Y)$ ფენების შემნახველი ასახვისათვის კომუტაციურია დიაგრამა

$$\begin{tikzcd}
X \arrow[rr, "{[i_X]_{\mathrm{B}_0}}"] \arrow[dr, "\pi_X"] \arrow[dd, "{[f]_{\mathrm{B}_0}}"'] & & \tilde X \arrow[dl, "\pi_{\tilde X}"'] \arrow[dd, "R(f)"] \\
& \mathrm{B}_0 & \\
Y \arrow[rr, "{[i_Y]_{\mathrm{B}_0}}"'] \arrow[ur, "\pi_Y"'] & & \tilde Y. \arrow[ul, "\pi_{\tilde Y}"]
\end{tikzcd}$$

ყოველი B_0-ზე f ასახვისთვის არსებობს ისეთი ერთადერთი ფიბრული ჰომოტოპიური ასახვა $\tilde f : (\tilde X, \circledR_{\tilde X}) \to (\tilde Y, \circledR_{\tilde Y})$, რომ

$$\begin{tikzcd}
X \arrow[rr, "i_X"] \arrow[dd, "f"'] \arrow[dr, "\pi_X"] & & \tilde{X} \arrow[dd, "\tilde{f}"] \arrow[dl, "\pi_{\tilde{X}}"'] \\
& \mathrm{B}_0 & \\
Y \arrow[rr, "i_Y"'] \arrow[ur, "\pi_Y"'] & & \tilde{Y}. \arrow[ul, "\pi_{\tilde{Y}}"]
\end{tikzcd}$$

ამ შემთხვევაში $(i_X, i_Y): f \to \tilde{f}$ წყვილს ეწოდება ფენების შემნახველი f ასახვის B_0-ზე ფიბრანტული გაფართოება.

განმარტება 2.1.7. B_0 *სივრცის მიმართ განხილული კომპაქტური მეტრიზებადი სივრცეების ფიბრული ძლიერი შეიპური კატეგორია* $\mathbf{SSH_{B_0}}$ არის $\mathrm{R}: \mathbf{H}(\mathbf{CM_{B_0}}) \to \mathbf{H}(\mathbf{F_{B_0}})$ რეფლექტორის სრული ანასახი.

არსებობს კომუტაციური დიაგრამა

$$\begin{tikzcd}
\mathbf{H}(\mathbf{CM_{B_0}}) \arrow[rr, "\mathrm{R}"] \arrow[dr, "\mathrm{SS_{B_0}}"'] & & \mathbf{H}(\mathbf{F_{B_0}}) \\
& \mathbf{SSH_{B_0}}. \arrow[ur, "\mathrm{J_R}"'] &
\end{tikzcd}$$

ამ დიაგრამის აგების თანახმად, ყოველი $(X, \circledR_X), (Y, \circledR_Y) \in ob(\mathbf{H}(\mathbf{CM_{B_0}}))$ სივრცისთვის

$$ob(\mathbf{SSH_{B_0}}) = ob(\mathbf{H}(\mathbf{CM_{B_0}})),$$

$$\mathrm{Mor}_{\mathbf{SSH_{B_0}}}((X, \circledR_X), (Y, \circledR_Y)) = [(\tilde{X}, \circledR_{\tilde{X}}), (\tilde{Y}, \circledR_{\tilde{Y}})]_{\mathrm{B}_0},$$

$$\mathrm{SS_{B_0}}((X, \circledR_X)) = (X, \circledR_X)$$

და ყოველი B_0-ზე $f: (X, \circledR_X) \to (Y, \circledR_Y)$ ასახვის B_0-ზე

$$(i_X, i_Y): f \to \tilde{f}: (\tilde{X}, \circledR_{\tilde{X}}) \to (\tilde{Y}, \circledR_{\tilde{Y}})$$

ფიბრანტული გაფართოებისთვის

$$\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}([f]_{\mathrm{B}_0}) = \mathrm{R}([f]_{\mathrm{B}_0}) = [\tilde{f}]_{\mathrm{B}_0}.$$

არსებობს კომუტაციური დიაგრამა

$$\begin{tikzcd} \mathbf{H}(\mathbf{CM}_{\mathbf{B_0}}) \arrow[rr, "\mathrm{R}"] \arrow[dr, "\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}"'] & & \mathbf{H}(\mathbf{F}_{\mathbf{B_0}}) \arrow[dl, "\mathrm{J}_{\mathrm{R}}"] \\ & \mathbf{SSH}_{\mathbf{B_0}}. & \end{tikzcd}$$

2.2 კომპაქტურ-მეტრიზებად სივრცეთა ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობების შესახებ

B_0-ზე $f:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ ასახვის B_0-ზე ორმაგი ასახვის ცილინდრი $\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ არის B_0-ზე $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I$ სივრცის $X\times I\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0,1\}$ ქვესივრცე.

ჯ.დიდაკისა და ს.ნოვაკის [Dy-N_1] მსგავსად ამ პარაგრაფში განმარტებულია ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.

განმარტება 2.2.1. *ფენების შემნახველ $f:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ ასახვას ეწოდება ფიბრული შეიპური ექვივალენტობა, თუ ყოველი $(P,\circledR_P)$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცისთვის $f^*:[Y,P]_{\mathrm{B}_0}\to[X,P]_{\mathrm{B}_0}$ არის ბიექცია. f ფიბრულ შეიპურ ექვივალენტობას ეწოდება ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა, თუ ყოველი ორი $g,h:(Y,\circledR_Y)\to(P,\circledR_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ ფენების შემნახველი ასახვისთვის $g\,f$ და $h\,f$ ასახვების მაკავშირებელი $H:(X\times I,\circledR_{X\times I})\to(P,\circledR_P)$ ფიბრული ჰომოტოპია არის $X\times\{0,1\}$-ის მიმართ ფიბრულად ჰომოტოპიური $H'(f\times 1_I)$ კომპოზიციისა, სადაც $H':(Y\times I,\circledR_{Y\times I})\to(P,\circledR_P)$ არის ფიბრული ჰომოტოპია g და h ასახვებს შორის.*

თეორემა 2.2.2. *ვთქვათ, $f:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა და $g:(\partial I^n\times Y,\circledR_{\partial I^n\times Y})\to(P,\circledR_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ B_0-ზე ისეთი ასახვა, რომ*

$g(1_{I^n} \times f):(I^n \times X,®_{I^n\times X}) \to (P,®_P)$ *კომპოზიცია გაგრძელებადია* $(I^n \times X,®_{I^n\times X})$ *სივრცემდე. მაშინ* g *ასახვას აქვს გაგრძელება* $(I^n \times X,®_{I^n\times X})$ *სივრცემდე.*

დამტკიცება. ასახვა $g:(\partial I^n \times Y,®_{\partial I^n\times Y}) \to (P,®_P)$ ინდუცირებს B_0-ზე ასახვას $(Y,®_Y)$ სივრციდან $(P^{\partial I^n},®_{P^{\partial I^n}})$ სივრცეში, რომელსაც ასევე $g:(Y,®_Y) \to (P^{\partial I^n},®_{P^{\partial I^n}})$ სიმბოლოთი აღვნიშნავთ.

ვთქვათ, $h:(X,®_X) \to (P^{\partial I^n},®_{P^{\partial I^n}})$ არის gf კომპოზიციის ფიბრული გაგრძელება. თეორემის პირობის თანახმად f არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. აქედან გამომდინარე, არსებობს $h':(Y,®_Y) \to (P^{\partial I^n},®_{P^{\partial I^n}})$ B_0-ზე ასახვა, ისეთი რომ $h'f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h$. h' სიმბოლოთი კვლავ აღვნიშნოთ $h':(Y^n \times I,®_{Y^n\times I}) \to (P,®_P)$ B_0-ზე ასახვა ინდუცირებული h' ასახვით. $h'f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h$ მიმართებიდან და $h = gf$ გამომდინარეობს, რომ $h'f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} g \cdot f$. ამრიგად, $h'_{|\partial I^n\times Y} \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} g$. რადგან $(I^n \times Y, \partial I^n \times Y)$ წყვილს აქვს ფიბრული ჰომოტოპიის გავრცელების თვისება ამიტომ g გაგრძელებადია $I^n \times Y$ სივრცემდე. □

თეორემა 2.2.3. *ვთქვათ,* $f:(X,®_X) \to (Y,®_Y)$ *არის* B_0*-ზე ასახვა. ექვივალენტურია შემდეგი წინადადებები:*

1). f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა* ;

2). B_0*-ზე მოცემული* $(Z,®_Z)$ *სივრცის* B_0*-ზე* $(X,®_X)$ *ჩაკეტილი ქვესივრცისთვის, ყოველი* $g:(Z,®_Z) \to (P,®_P) \in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ B_0*-ზე ასახვა გაგრძელებადია* $(Z \cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ *სივრცემდე და ყოველი* B_0*-ზე ასახვა*

$$H:(Z \times I \cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)}) \to (P,®_P) \in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$$

გაგრძელებადია $((Z \cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)) \times I,®_{(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I})$ *სივრცემდე;*

3). თუ $(X,®_X)$ არის $(Z,®_Z)$-ის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ

$$i:(Z,®_Z) \to (Z \cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$$

და

$$j:(Z \times I \cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)}) \to ((Z \cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)) \times I,®_{(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I})$$

ფიბრული ჩადგმები არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობები;

4). თუ $(X,®_X)$ არის $(Z,®_Z)$-ის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ

$$i:(Z,®_Z)\to(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$$

ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა;

5). თუ $(X,®_X)$ არის $(Z,®_Z)$-ის ჩაკეტილი ქვესივრცე, მაშინ

$$i:(Z,®_Z)\to(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$$

ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა;

6). ფიბრული ჩადგმები $k:(X,®_X)\to(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ *და* $l:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I})$ *არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობები*;

7). *ყოველი* B_0*-ზე ასახვა გაგრძელებადია* $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ *სივრცემდე და ყოველი* B_0*-ზე ასახვა*

$$H:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$$

გაგრძელებადია $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I})$ *სივრცემდე.*

დამტკიცება. $1)\Rightarrow 2)$. ვთქვათ, $g:(Z,®_Z)\to(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ არის B_0-ზე ასახვა. განვიხილოთ ფენების შემნახველი შემოსაზღვრის ასახვა $g_{|X}:(X,®_X)\to(P,®_P)$. ცხადია, ამ ასახვას აქვს ფიბრული გაგრძელება $g':(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(P,®_P)$. g' და g ასახვები ინდუცირებს B_0-ზე ასახვას $g'':(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(P,®_P)$, რომელიც g ასახვის ფიბრული გაგრძელება.

ვთქვათ, $q:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_X),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_X)})\to(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ ფიბრული ბუნებრივი პროექციაა და B_0-ზე ასახვა $f':(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_X),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_X)})\to(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_Y),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_Y)})$ ინდუცირებულია f ასახვით. შევნიშნოთ, რომ

$$Hq\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H'f'\,\mathrm{rel}\,X\times\{1\}\times\{0,1\},$$

სადაც $H':H_{|Y\times\{1\}\times\{0\}}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H_{|Y\times\{1\}\times\{1\}}$ არის B_0-ზე ჰომოტოპია. აქედან გამომდინარე, H ასახვას აქვს ფიბრული გაგრძელება $(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I)$ სივრცემდე.

$2)\Rightarrow 3)$. შევნიშნოთ, რომ ყოველი $P\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ სივრცისთვის $i_*:[Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),P]_{\mathrm{B}_0}\to [Z,P]_{\mathrm{B}_0}$ არის სურექციული ასახვა. ვაჩვენოთ, რომ i_* ინექციური ასახვაა.

ვთქვათ, $g,h:(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to (P,®_P)$ არის B_0-ზე ასახვები რაიმე ფიბრული ჰომოტოპიით

$$H:g_{|Z}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h_{|Z}.$$

არსებობს B_0-ზე ასახვა $G:(Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to (P,®_P)$, ისეთი, რომ

$$G_{|\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0\}}=g,$$

და

$$G_{|\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{1\}}=h.$$

ვთქვათ, $G':(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I})\to (P,®_P)$ არის G ფიბრული გაგრძელება. მაშინ $G':g\underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h$. ახლა ვაჩვენოთ, რომ $j_*:[(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I,P]_{\mathrm{B}_0}\to [Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),P]_{\mathrm{B}_0}$ არის ბიექცია ყოველი $(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ სივრცისთვის. ვთქვათ, $G,H:((Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I,®_{(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I})\to (P,®_P)$ არის B_0-ზე ასახვები, რომელთა შემოსაზღვრები $Z\times I\times \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ ნამრავლზე ფიბრულად ჰომოტოპიურია, ე.ი.

$$G_{|(Z\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times\{0\}}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq} H_{|(Z\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times\{0\}}.$$

რადგან $(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times\{0\}\to (Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I$ ფიბრული ჩადგმაა ამიტომ B_0-ზე ასახვები G და H არის B_0-ზე ჰომოტოპიური.

$3)\Rightarrow 4)$ ვთქვათ, $H:(Z\times I,®_{Z\times I})\to (P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ არის $g,h:(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to (P,®_P)$ B_0-ზე ასახვების $g_{|Z}$ და $h_{|Z}$ შემოსაზღვრებს შორის ფიბრული ჰომოტოპია. არსებობს H ფიბრული ჰომოტოპიის B_0-ზე გაგრძელება $G:(Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to (P,®_P)$ ისეთი, რომ $G_{|\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0\}}=g$ და $G_{|\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{1\}}=h$. iii) პირობის თანახმად არსებობს G ასახვის ფიბრული გაგრძელება

$G':((Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I,\circledR_{(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I})\to (P,\circledR_P)$. ცხადია, $((Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I, Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f))$ წყვილს აქვს ფიბრული ჰომოტოპიის გავრცელების თვისება რაიმე B_0-ზე სივრცის მიმართ რადგანაც

$$(Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I\times\{0\}$$

არის

$$(Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)\cup Y\times I)\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I\times\{0\}$$

სივრის ფიბრული რეტრაქტი და ასევე,

$$(Z\times I\cup \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)\cup Y\times I)\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I\times\{0\}$$

არის $(Z\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f))\times I\times I$ სივრცის ფიბრული რეტრაქტი. აქედან გამომდინარე, G' არის g და h შორის ფიბრული ჰომოტოპია და G'-ს შემოსაზღვრა $Z\times I$-ზე ემთხვევა G.

$4)\Rightarrow 5)$. ამ იმპლიკაციის შემოწმება მარტივია.

$5)\Rightarrow 6)$. ვთქვათ, $Z=X\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0\}$. v) პირობის თანახმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ $X\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0\}\to \mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. აქედან გამომდინარე, $\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)\to \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}\times I$ ფიბრული ჩადგმა არის შეიპური ექვივალენტობა. ე.ი. $Z=X$ სივრცისთვის მივიღეთ, რომ $X\to \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ არის B_0-ზე ფიბრული შეიპური ექვივალენტობა.

$6)\Rightarrow 7)$. ეს იპპლიკაცია სამართლიანია, რადგან $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),X)$ და $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f))$ სივრცეებს აქვთ ფიბრული ჰომოტოპიის გავრცელების თვისება რაიმე B_0-ზე სივრცის მიმართ.

$7)\Rightarrow 1)$. ვთქვათ, $H:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_X),\circledR_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_X)})\to (P,\circledR_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ ფიბრული ჰომოტოპიაა gf და hf ასახვებს შორის, სადაც $g,h:(Y,\circledR_Y)\to (P,\circledR_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ არის B_0-ზე ასახვები. არსებობს B_0-ზე ასახვა $G:(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),\circledR_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to (P,\circledR_P)$, ისეთი რომ $G_{Y\times\{0\}}=g$ და $G_{Y\times\{1\}}=h$. ვთქვათ, $G':(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I,\circledR_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I})\to (P,\circledR_P)$ არის G ჰომოტოპიის B_0-ზე გაგრძელება. $\circledR: X\times I\times I\to \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I$ ფიბრული პროექციის და $X\times I\times I$ ნამრავლის $X\times\{1\}\times I$

ნამრავლში ძლიერი ფიბრული დეფორმაციული რეტარქტის გამოყენებით შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ H არის ფიბრული ჰომოტოპია $\mathrm{rel}X\times\{1\}\times\{0,1\}$-დან $H'\times(f\times 1_I)$-ში, სადაც $H':(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_Y),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(1_Y)})\to(P,®_P)$ არის g და h ასახვებს შორის ფიბრული ჰომოტოპია. ამრიგად, f არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. □

თეორემა 2.2.3-დან მიიღება შემდეგი წინადადებები.

შედეგი 2.2.4. *ვთქვათ,* $(X,®_X)$ *არის* B_0*-ზე სივრცე და* $A\subset X$. $i:(A,®_{X|A})\to(X,®_X)$ *ფიბრული ჩადგმა არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* i *და*

$$j:(X\times\{0\}\cup A\times I\cup X\times\{1\},®_{X\times\{0\}\cup A\times I\cup X\times\{1\}})\to(X\times I,®_{X\times I})$$

ფიბრული ჩადგმები არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობები.

დამტკიცება. ვთქვათ, $f=i$. ეს შედეგი ცალსახად გამომდინარეობს 1) და 6) პირობების ექვივალენტობიდან. □

შედეგი 2.2.5. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა, მაშინ* f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

დამტკიცება. $(X,®_X)$ სივრცე არის $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ ცილინდრის ძლიერი დეფორმაციული რეტრაქტი B_0-ზე. აქედან გამომდინარე, $(Y\times\{0\},®_{Y\times\{0\}})$ არის $\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)$-ის ძლიერი დეფორმაციული რეტრაქტი. ამრიგად, ფიბრული ჩადგმები $(X,®_X)$-ისა $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)$-ში და $(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ -ის $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I$ -ში არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობები. □

შედეგი 2.2.6. *თუ* $g:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის ფიბრულად ჰომოტოპიური* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობის, მაშინ* g *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

დამტკიცება. B_0-ზე ცილინდრი $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g)$ არის $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\mathrm{rel}X$-ის ფიბრულად ჰომოტოპიური. აქედან გამომდინარე, X სივრცეში ყოველი $(M,®_M)$ B_0-ზე სივრცისთვის, როგორც ჩაკეტილი სიმრავლისთვის, $M\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)$ და $Z\cup\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g)$ B_0-ზე სივრცეები ფიბრულად ჰომოტოპიურია M-ის მიმართ. თეორემა 2.2.3-ის 1) და 5)

პირობების ექვივალენტობის თანახმად g არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. □

ახლა დავამტკიცოთ შემდეგი

შედეგი 2.2.7. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *და* $g:(Y,®_Y)\to(Z,®_Z)$ *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობები. მაშინ* $g\,f:(X,®_X)\to(Z,®_Z)$ *კომპოზიცია არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

დამტკიცება. ადვილი შესამჩნევია, რომ $g\,f$ კომპოზიცია არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. ვთქვათ, $¨,\cdot:(Z,®_Z)\to(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ არის ფენების შემნახველი ასახვები და $H:(X\times I,®_{X\times I})\to(P,®_P)$ ფიბრული ჰომოტოპიაა $H:¨\,gf\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}\cdot\,gf$. თეორემის პირობის თანახმად არსებობს ფენების შემნახველი ჰომოტოპია $H':(Y\times I,®_{Y\times I})\to(P,®_P)$ ფენების შემნახველ $¨\,g$ და $\cdot\,g$ ასახვებს შორის, ისეთი რომ

$$H\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H'(f\times 1_I)\mathrm{rel}\,X\times\{0,1\}.$$

ამრიგად, არსებობს $H'':(Z\times I,®_{Z\times I})\to(P,®_P)$ ფიბრული ჰომოტოპია $¨$ და $\cdot$ ასახვებს შორის, ისეთი რომ

$$H'\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H''(g\times 1_I)\mathrm{rel}Y\times\{0,1\}.$$

აქედან გამომდინარე, გვაქვს შემდეგი ფიბრული ჰომოტოპია

$$H\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H''(g\,f\times 1_I)\mathrm{rel}\,X\times\{0.1\}.$$ □

თეორემა 2.2.8. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *და* $g:(Y,®_Y)\to(Z,®_Z)$ *არის* B_0*-ზე ისეთი ასახვები, რომ* $g\,f$ *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა. თუ* f *და* g *ასახვებს შორის ერთერთი არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა, მაშინ ორივე* f *და* g *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობები.*

დამტკიცება. თეორემის პირობიდან გამომდინარე f და g არის ფიბრულად ჰომოტოპიურები. ვთქვათ, H არის $(\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{dCyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$-დან $(P,®_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-ში რაიმე B_0-ზე ასახვა. არსებობს H ასახვის ფიბრული გაგრძელება

$$H':(X\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0,1\}\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g)\times\{0,1\},®_{X\times I\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times\{0,1\}\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g)\times\{0,1\}})\to(P,®_P)$$

რადგან $(Y,®_Y)\to(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g)})$ ფიბრული ჩადგმა ფიბრული შეიპური ექვივალენტობაა. [F]-ის შედეგი 2.5-ის თანახმად $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g)})$ არის $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g\,f),®_{(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g\,f)})$-ის ფიბრულად შეიპურად ექვივალენტული. აქედან გამომდინარე, $g\,f$ არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. ამრიგად, H' გაგრძელებადია $(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\cup \mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(g))\times I$-ზე, და ასევე, $\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)\times I$-ზე. იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანია $1)\Leftrightarrow 7)$ ექვივალენტობა მივიღებთ f არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა.

ახლა ვთქვათ, $H:(Y\times I,®_{Y\times I})\to(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ არის $g\,¨$ და $g\,\cdot$ ასახვებს შორის ფიბრული ჰომოტოპია, სადაც $¨,\cdot:(Z,®_Z)\to(P,®_P)$. ცხადია, არსებობს ფიბრული ჰომოტოპია $H'':(Z\times I,®_{Z\times I})\to(P,®_P)$,ისეთი რომ $H'':¨\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}\cdot$, $H''(gf\times 1_I)\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H(f\times 1_I)\mathrm{rel}X\times\{0,1\}$. ვთქვათ, $G:(Y\times\partial I^2,®_{Y\times\partial I^2})\to(P,®_P)$ არის B_0-ზე ასახვა მოცემული შემდეგი ფორმულებით

$$G(y,0,t)=H(y,t),\, y\in Y, t\in I,$$

$$G(y,1,t)=H''(g(y),t),\, y\in Y, t\in I,$$

$$G(y,t,0)=¨\,g(y),\, y\in Y, t\in I,$$

$$G(y,t,1)=\cdot\,g(y),\, y\in Y, t\in I.$$

მაშინ $G(f\times 1_I):(X\times(\partial I^2),®_{X\times(\partial I^2)})\to(P,®_P)$ გაგრძელებადია მთელ $X\times I^2$ სივრცემდე. თეორემა 2.2.2-ის თანახმად G ასახვა გაგრძელებადია $Y\times I^2$-ზე. ამრიგად, მივიღებთ

$$H\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H''(g\times 1_I)\mathrm{rel}Y\times\{0,1\}. \qquad \square$$

შედეგი 2.2.9. *ვთქვათ,* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. თუ* $(X,®_X)$ *სივრცეს აქვს* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$*-სივრცის ფიბრული ჰომოტოპიური ტიპი, მაშინ* f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა.*

დამტკიცება. შევნიშნოთ, რომ არსებობს B_0-ზე ასახვა $g:(Y,\circledR_Y)\to(X,\circledR_X)$ ისეთი, რომ $g\,f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} 1_X$. თეორემა 2.2.8-ის თანახმად, $g\,f$ არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა. რადგან $g\,f$ ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობაა და f ფიბრული შეიპური ექვივალენტობა, ამიტომ f და g ასახვები არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა. □

შემდეგი თეორემები, თეორემა 2.2.10 და თეორემა 2.2.11, გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია $\mathbf{SSH_{B_0}}$ კატეგორიის ძლიერი ფიბრული შეიპური იზომორფიზმების დახასიათება ფიბრული ორმაგი ასახვის ცილინდრის ტერმინებში.

შემდეგი თეორემა გვიჩვენებს, რომ ფიბრული ორმაგი ასახვის ცილინდრის მეშვეობით შესაძლებელია აღიწეროს $\mathrm{SSH}_{\mathrm{B}_0}$ კატეგორიის ფიბრული ძლიერი შეიპური იზომორფიზმები.

თეორემა 2.2.10. *ჩაკეტილი ფიბრული ჩადგმა* $i:(A,\circledR_{X|A})\to(X,\circledR_X)$ *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* i *არის* B_0*-ზე* SSDR*-ასახვა.*

დამტკიცება. ვთქვათ, i არის B_0-ზე SSDR-ასახვა. თავდაპირველად ვაჩვენოთ, რომ $i_*:[X,P]_{\mathrm{B}_0}\to[A,P]_{\mathrm{B}_0}, (P,\circledR_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ ბიექციაა. თეორემა 2.2.2-ის ა)$\Rightarrow$ბ) ექვივალენტობიდან გამომდინარეობს, რომ i_* არის სურექცია. რადგან ყოველი $f:(A,\circledR_{X|A})\to(P,\circledR_P)$ B_0-ზე ასახვისთვის არსებობს $\tilde{f}:(X,\circledR_X)\to(P,\circledR_P)$ B_0-ზე ასახვა ისეთი, რომ $\tilde{f}\,i=f$ და $i_*(\tilde{f})=f$. i_* B_0-ზე ასახვა ასევე არის ინექცია. მართლაც, ვთქვათ, $g,h:(X,\circledR_X)\to(P,\circledR_P)$ B_0-ზე ასახვებია ისეთი, რომ $i_*(h)=g=i_*(f)$, ე.ი. $hi \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} gi$. ბორსუკის ჰომოტოპიის გავრცელების შესახებ თეორემის [Y2] ფიბრული ვერსიის თანახმად არსებობს B_0-ზე ასახვები $\tilde{f}_1,\tilde{f}_2:(X,\circledR_X)\to(P,\circledR_P)$ ისეთი, რომ $\tilde{f}_{1|A}=f=\tilde{f}_{2|A}$, $\tilde{f}_1 \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} g$ და $\tilde{f}_2 \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h$. ა)$\Rightarrow$ბ) იმპლიკაციის თანახმად მივიღებთ $\tilde{f}_1 \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} \tilde{f}_2 \mathrm{rel}\, i(A)$. ამრიგად, $g \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h$. ადვილი საჩვენებელია, რომ $[q]_{\mathrm{B}_0}=[h]_{\mathrm{B}_0}$.

ახლა ვთქვათ, $H:(A\times I,®_{A\times I})\to(P,®_P)$ არის gi და hi შორის ფიბრული ჰომოტოპია. რადგან $(P^I,®_{P^I})\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$, ამიტომ $i_*:[X,P^I]_{\mathrm{B}_0}\to[A,P^I]_{\mathrm{B}_0}$ ფუნქცია არის ბიექცია. აქედან გამომდინარე, ასევე $(i\times 1_I)_*:[X\times I,P]_{\mathrm{B}_0}\to[A\times I,P]_{\mathrm{B}_0}$ არის ბიექცია. ამრიგად, არსებობს B_0-ზე ასახვა $F:(X\times I,®_{X\times I})\to(P,®_P)$ და ფიბრული ჰომოტოპია $S:(i\times 1_I)_*(F)=F(i\times 1_I)\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H$. დავუშვათ, რომ $G=S\cup F:X\times I\times\{0\}\cup(A\times I)\times I\to(P,®_P)$ არის B_0-ზე ასახვა მოცემული შემდეგი ფორმულებით

$$G_{|X\times I\times\{0\}}=F,$$

$$G_{A\times I\times I}=S.$$

ბორსუკის ფიბრული ჰომოტოპიის გავრცელების თეორემის თანახმად არსებობს B_0-ზე ასახვა $\tilde G:(X\times I\times I,®_{X\times I})\to(P,®_Y)$ ისეთი, რომ $\tilde G_{|X\times I\times\{1\}}$ არის $\tilde g:(X,®_X)\to(P,®_P)$ და $\tilde h:(X,®_X)\to(P,®_P)$ ფიბრულ ასახვებს შორის ფიბრული ჰომოტოპია მოცემული შემდეგი ფორმულებით

$$\tilde g(x)=G(x,1,0),x\in X,$$

$$\tilde h(x)=\tilde G(x,1,1),x\in X,$$

$$\tilde g_{|A}=gi,$$

$$\tilde h_{|A}=hi.$$

[B,Tu$_1$]-ის თეორემა 3-ის თანახმად, არსებობს ფიბრული ჰომოტოპიები $T:g\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}\tilde g$ და $Q:\tilde h\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}h$.შემდეგი კომბინირებული ჰომოტოპია

$$L=T\cup\tilde G_{X\times I\times\{1\}}\cup Q:X\times I\times\{1\}\to(P,®_P)$$

არის g და h ასახვებს შორის ფიბრული ჰომოტოპია. შევნიშნოთ, რომ

$$L(i\times 1_I)\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H\,\mathrm{rel}\,A\times\{0,1\},$$

ე.ი. i არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა.

ახლა დავამტკიცოთ შებრუნებული დებულება. ვთქვათ, i ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობაა. მაშინ i_* ბიექციაა. აქედან გამომდინარე, ყოველი $f:(A,®_{X|A})\to(P,®_P)$ B_0-ზე ასახვისთვის არსებობს B_0-ზე ასახვა $\tilde{F}:(X,®_X)\to(P,®_P)$ ისეთი, რომ $i_*(\tilde{F})=\tilde{F}i\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}f$.

ბორსუკის ფიბრული ჰომოტოპიის გავრცელების თეორემის თანახმად შეგვიძლია დავუშვათ, რომ არსებობს ფიბრული გაგრძელება $\tilde{f}:(X,®_X)\to(P,®_P)$, რომლისთვისაც $\tilde{f}\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}F$.

ვთქვათ, $\tilde{f}_1,\tilde{f}_2:(X,®_X)\to(P,®_P)$ არის f-ის ასეთი გაგრძელებები. მაშინ არსებობს ფიბრული ჰომოტოპია $H':\tilde{f}_1\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}\tilde{f}_2$, რომლისთვისაც

$$(i\times 1_Y)H'\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}H:f\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}f\,\mathrm{rel}A\times\{0,1\}.$$

ამრიგად, თეორემა 2.2.2-ის ბ)$\Rightarrow$ა) იმპლიკაციის თანახმად, i არის B_0-ზე SSDR-ასახვა. □

თეორემა 2.2.11. *ვთქვათ* $f:(X,®_X)\to(Y,®_Y)$ *არის* B_0*-ზე კომპაქტურ მეტრიზებად სივრცეებს შორის ფენების შემნახველი ასახვა, ხოლო* $(i_X,i_Y):f\to\tilde{f}$ *არის* f *ასახვის ფიბრანტული გაფართოება* B_0*-ზე. მაშინ* f *არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\tilde{f}$ *არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა.*

დამტკიცება. ცნობილია, რომ $f=pi$, სადაც $i:(X,®_X)\to(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})$ და $p:(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(Y,®_Y)$ შესაბამისად არის კოფიბრაცია და B_0-ზე ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა. ვთქვათ, $i_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)}:(\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f),®_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)})\to(\tilde{Z},®_{\tilde{Z}})$ არის f ასახვის ცილინდრის B_0-ზე ფიბრანტული გაგრძელება. არსებობს B_0-ზე ასახვები $\tilde{i}:(\tilde{X},®_{\tilde{X}})\to(\tilde{Z},®_{\tilde{Z}})$ და $\tilde{p}:(\tilde{Z},®_{\tilde{Z}})\to(\tilde{Y},®_{\tilde{Y}})$ ისეთი, რომ $i_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)}i=\tilde{i}\,i_X$ და $i_Y\,p=\tilde{p}i_{\mathrm{Cyl}_{\mathrm{B}_0}(f)}$.

ვთქვათ, f არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა, როგორც განმარტება 2.2.1-შია. რადგან p არის ფიბრული ჰოოტოპიური ექვივალენტობა, ამიტომ ის ასევე

ძლიერი შეიპური ექვივალენტობაა. ამრიგად, $f = pi$ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ i არის ძლიერი ფიბრული შეიპური ექვივალენტობა. თეორემა 2.2.10-ის თანახმად i არის B_0-ზე SSDR -ასახვა. აქედან გამომდინარე, $\tilde{i}$ ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობაა. ამრიგად, $\tilde{p}\tilde{i}$ კომპოზიცია, არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა. შევნიშნოთ, რომ $\tilde{p}\tilde{i}$ და $\tilde{f}$ არის f ასახვის B_0-ზე გაგრძელებები. ცხადია, $\tilde{p}\tilde{i} \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} \tilde{f}$. აქედან გამომდინარე, $\tilde{f}$ B_0-ზე ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობაა.

ახლა ვაჩვენოთ, რომ თუ $\tilde{f} : (\tilde{X}, ®_{\tilde{X}}) \to (\tilde{Y}, ®_{\tilde{Y}})$ არის ფიბრული ჰომოტოპიური ექვივალენტობა, მაშინ f ძლიერი შეიპური ექვივალენტობაა. შევნიშნოთ, რომ ყოველი $P \in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ -თვის $\tilde{f}_* : [\tilde{Y}, P]_{\mathrm{B}_0} \to [\tilde{X}, P]_{\mathrm{B}_0}, (i_X)_* : [\tilde{X}, P]_{\mathrm{B}_0} \to [X, P]_{\mathrm{B}_0}$ და $(i_{\tilde{Y}})_* : [\tilde{Y}, P]_{\mathrm{B}_0} \to [Y, P]_{\mathrm{B}_0}$ ბიექციებია. რადგან $(f)_*(i_Y)_* = (i_X)_* \tilde{f}_*$, ამიტომ შეგვიძლია დავუშვათ, რომ f_* ასევე არის ბიექცია. ცხადია, B_0-ზე სივრცე $P^I_{\mathrm{B}_0}$ არის $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცე. ამრიგად, $f_* : [Y, P^I_{\mathrm{B}_0}]_{\mathrm{B}_0} \to [X, P^I_{\mathrm{B}_0}]_{\mathrm{B}_0}$ ბიექციაა.

ვთქვათ, $H : g f \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h f$ ფიბრული ჰომოტოპიაა, სადაც $f, g : (Y, ®_Y) \to (P, ®_P)$ B_0-ზე ასახვებია. მაშინ არსებობს B_0-ზე ასახვა $H' : (Y \times I, ®_{Y \times I}) \to (P, ®_P)$ ისეთი, რომ $H'(f \times 1_I) \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} H.$

თეორემა 2.2.3-ის მტკიცების მსგავსად $i : (f(X), ®_{Y|f(X)}) \to (Y, ®_Y)$ ფიბრული ჩადგმისთვის შეგვიძლია ავაგოთ ფიბრული ჰომოტოპია $\tilde{H} : g \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} h$, რომლისთვისაც $\tilde{H}(f \times 1_I) \underset{\mathrm{B}_0}{\simeq} H$. ამრიგად, f არის ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა განმარტება 2.2.1-ის შესაბამისად. □

შედეგი 2.2.12. B_0-*ზე კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეებს შორის ფენების შემნახველი ასახვა* f *არის 2.2.1 განმარტების თვალსაზრისით ფიბრული ძლიერი შეიპური ექვივალენტობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა* $\mathrm{SS}_{\mathrm{B}_0}([\mathrm{f}]_{\mathrm{B}_0})$ *არის* $\mathbf{SSH}_{\mathbf{B}_0}$ *კატეგორიის იზომორფიზმი.* □

თავი 3

ნებისმიერ ტოპოლოგიურ სივრცეთა ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია

აგებული და განვითარებული გვაქვს ფიქსირებული მეტრიზებადი B_0 სივრცის მიმართ განხილული ნებისმიერი ტოპოლოგიური სივრცეების ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია. აქ განხილული მიდგომა წარმოადგენს მარდეჟიჩ-ლისიცას მეთოდის განზოგადებას და ის მარდეჟიჩის მიერ შემოტანილი რეზოლვენტების ნაცვლად იყენებს რეზოლვენტის ფიბრულ ვერსიას. ფიბრული ძლიერი შეიპური თეორია გვაძლევს B_0-ზე სივრცეების ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც არის უფრო სუსტი ვიდრე ფიბრული ჰომოტოპიური თეორიის მიერ ინდუცირებული B_0-ზე სივრცეების კლასიფიკაცია, მაგრამ არის უფრო ძლიერი ვიდრე ჩვეულებრივი ფიბრული შეიპური თეორიის მიერ წარმოქმნილი B_0-ზე სივრცეთა კლასიფიკაცია.

3.1 $\mathbf{B_0}$-ზე სივრცეთა რეზოლვენტები და ძლიერი გაფართოებები

ვთქვათ $\mathcal{U}=\{U_\sim\}_{\sim\in A}$ არის B_0-ზე $(Y,\circledR_Y)$ სივრცის დაფარვა. ვიტყვით, რომ $f,g:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ ფენების შემნახველი ასახვები არის $\mathcal{U}$-მახლობელი, თუ ყოველი $x\in X$ წერტილისთვის არსებობს ისეთი $U_\sim\in\mathcal{U}$ ელემენტი, რომ $f(x),g(x)\in U_\sim$. ასევე, ვიტყვით, რომ $H:(X\times I,\circledR_{X\times I})\to(Y,\circledR_Y)$ ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს f და g ასახვებს, არის $\mathcal{U}$-ფიბრული ჰომოტოპია, თუ ყოველი $x\in X$ წერტილისთვის არსებობს ისეთი $U_\sim\in\mathcal{U}$ ელემენტი, რომ ნებისმიერი $t\in I$ რიცხვისთვის $H(x,t)\subseteq U_\sim$.

წინადადება 3.1.1. *ვთქვათ* $(Y,\circledR_Y)$ *არის* $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ *-სივრცე. მაშინ* $(Y,\circledR_Y)$ *სივრცის ყოველი* $\mathcal{U}$ *ღია დაფარვისთვის არსებობს* $(Y,\circledR_Y)$ *სივრცის ისეთი* $\mathcal{V}$ *ღია დაფარვა, რომ როცა ორი*

$f,g:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)$ ფენების შემნახველი ასახვა ნებისმიერ $(X,\circledR_X)$ ტოპოლოგიური სივრციდან $(Y,\circledR_Y)$ ტოპოლოგიურ სივრცეში არის $\mathcal{V}$ -მახლობელი, მაშინ არსებობს f და g ასახვების მაკავშირებელი ფენების შემნახველი $\mathcal{U}$ -ჰომოტოპია $H:(X\times I,\circledR_{X\times I})\to(Y,\circledR_Y)$. გარდა ამისა, თუ $A\subseteq X$ ქვესიმრავლისათვის $f_{|A}=g_{|A}$, მაშინ H არის ფენების შემნახველი ჰომოტოპია A ქვესივრცის მიმართ.

დამტკიცება. შეიძლება დავუშვათ, რომ $(Y,\circledR_Y)$ არის $\mathrm{B}_0\times K$ სივრცის ჩაკეტილი ქვესივრცე, სადაც K არის ნორმირებული ვექტორული L სივრცის ამოზნექილი სიმრავლე. ვთქვათ, $\circledR:\mathrm{B}_0\times K\to K$ ასახვა მოცემულია ფორმულით $\circledR(b,k)=k$ ყოველი $(b,k)\in\mathrm{B}_0\times K$ წვილისთვის. რადგან $(Y,\circledR_Y)$ არის $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ -სივრცე, ამიტომ $\mathrm{B}_0\times K$ სივრცეში არსებობს $(Y,\circledR_Y)$ სივრცის $(G,\circledR_G)$ ღია მიდამო $r:(G,\circledR_G)\to(Y,\circledR_Y)$ ფენობრივი რეტრაქციით. ვთქვათ $\{O_{\sim}\times Q_{\sim}\}_{\sim\in\mathscr{A}}$ დაფარვა ჩაწერილია $r^{-1}(\mathcal{U})$ დაფარვაში, სადაც ყოველი $\sim\in\mathscr{A}$ ელემენტისთვის $Q_{\sim}$ არის ამოზნექილი სიმრავლე. მაშინ $\mathcal{V}=\{(O_{\sim}\times Q_{\sim})\cap Y\}_{\sim\in\mathscr{A}}$ არის $\mathcal{U}$ დაფარვაში ჩაწერილი ღია დაფარვა. ყოველი ორი $f,g:(X,\circledR_X)\to(Y,\circledR_Y)\subseteq\mathrm{B}_0\times K$ $\mathcal{V}$ -მახლობადი ფენების შემნახველი ასახვისთვის შეგვიძლია განვმარტოთ ფენების შემნახველი ჰომოტოპია $H':(X\times I,\circledR_{X\times I})\to K$ შემდეგი ფორმულით

$$H'(x,t)=(\circledR_X(x),(1-t)\circledR(f(x))+t\circledR(g(x)),\qquad (x,t)\in X\times I.$$

განვიხილოთ ფენების შემნახველი ასახვა $H:(X\times I,\circledR_{X\times I})\to(Y,\circledR_Y)$ მოცემული

$$H(x,t)=r(H'(x,t)),\qquad (x,t)\in X\times I.$$

ფორმულით.

ადვილი შესამჩნევია, რომ $H_0=f$, $H_1=g$ და H არის $\mathcal{U}$ -ჰომოტოპია. ცხადია, თუ ყოველი $x\in A$ წერტილისთვის $f(x)=g(x)$, მაშინ $H(x,t)=f(x)=g(x)$ ყოველი $t\in I$ რიცხვისთვის. □

$\mathbf{Top}_{\mathbf{B}_0}$ კატეგორიის შებრუნებული სისტემა $\mathbf{X}=((X_{\sim},\circledR_{X_{\sim}}),p_{\sim\sim'},\mathscr{A})$ შედგება $\mathscr{A}$ ინდექსთა მიმართული სიმრავლისაგან, ყოველი $\sim\in\mathscr{A}$ ინდექსის შესაბამისი B_0-ზე

$(X_{\sim}, ®_{X_{\sim}})$ სივრცისაგან და ნებისმიერი $\sim \le \sim'$ ინდექსთა წყვილის შესაბამისი ისეთი ფენების შემნახველი $p_{\sim\sim'} : (X_{\sim'}, ®_{X_{\sim'}}) \to (X_{\sim}, ®_{X_{\sim}})$ ასახვებისაგან, რომ $p_{\sim\sim'}\, p_{\sim'\sim''} = p_{\sim\sim''}$ და $p_{\sim\sim} = 1_{X_{\sim}}$, $\sim \in \mathscr{A}$.

$\mathbf{Top_{B_0}}$ კატეგორიის შებრუნებულ სისტემებს შორის მორფიზმი $(f\ , ¨) : \mathbf{X} \to \mathbf{Y} = ((Y\ , ®_Y\ ), q\ \ ', \mathscr{B})$ შედგება $¨ : \mathscr{B} \to \mathscr{A}$ ფუნქციისაგან, ყოველი $\in \mathscr{B}$ ინდექსის შესაბამისი $f\ : (X_{¨(\ )}, ®_{X_{¨(\ )}}) \to (Y\ , ®_Y\ )$ ფენების შემნახველი ასახვისაგან და აკმაყოფილებს პირობას: ნებისმიერი $\le\ '$ ინდექსთა წყვილისთვის არსებობს ისეთი $\sim \ge ¨(\ ), ¨(\ ')$ იდექსი, რომ სრულდება ტოლობა

$$f\ \ p_{¨(\ )} = q\ \ '\, f\ '\, p_{¨(\ ')\sim} .$$

ორ მორფიზმს $(f\ , ¨), (g\ , \cdot\ ) : \mathbf{X} \to \mathbf{Y}$ ვუწოდებთ ექვივალენტურს, $f \underset{B_0}{\simeq} g$, თუ ნებისმიერი $\in \mathscr{B}$ ინდექსისთვის არსებობს ისეთი $\sim \in \mathscr{A}$ ინდექსი, რომ $\sim \ge ¨(\ ), \cdot(\ )$, და $f\ \ p_{¨(\ )\sim} = g\ \ p_{\cdot(\ )\sim}$.

ვთქვათ, $\mathbf{pro-Top_{B_0}}$ არის კატეგორია, რომლის ობიექტებია $\mathbf{Top_{B_0}}$ კატეგორიის $\mathbf{X}$ შებრუნებული სისტემები, ხოლო მორფიზმები არის $\underset{B_0}{\simeq}$ ექვივალენტობის მიმართ $(f\ , ¨) : \mathbf{X} \to \mathbf{Y}$ მორფიზმის ექვივალენტობის კლასები, რომელსაც აღვნიშნავთ $\mathbf{f}$ სიმბოლოთი.

$\mathbf{p} = (p_{\sim}) : (X, ®_X) \to \mathbf{X} = ((X_{\sim}, ®_{X_{\sim}}), p_{\sim\sim'}, \mathscr{A})$ მორფიზმი $((X, ®_X))$ ელემენტარული შებრუნებული სისტემიდან $\mathbf{X}$ შებრუნებულ სისტემაში შედგება ყოველი $\sim \in \mathscr{A}$ ინდექსის შესაბამისი ისეთი ფენების შემნახველი $p_{\sim} : (X, ®_X) \to (X_{\sim}, ®_{X_{\sim}})$ ასახვებისგან, რომ $p_{\sim} = p_{\sim\sim'}\, p_{\sim'}$, $\sim \le \sim'$.

განმარტება 3.1.2. (იხ. $[B_4]$-$[B_6]$). *ვთქვათ,* $(X, ®_X)$ B_0-*ზე სივრცეა და* $\mathbf{X} = ((X_{\sim}, ®_{X_{\sim}}), p_{\sim\sim'}, \mathscr{A})$ *არის* $\mathbf{Top_{B_0}}$ *კატეგორიის შებრუნებული სისტემა. ვიტყვით, რომ* $\mathbf{p} : (X, ®_X) \to \mathbf{X}$ *არის* B_0-*ზე* $(X, ®_X)$ *სივრცის* B_0-*ზე რეზოლვენტა ან ფიბრული რეზოლვენტა, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:*

$\mathbf{R_{B_0}1)}$. *ვთქვათ, $(P,®_P)\in \mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$, $\mathcal{U}$ არის $(P,®_P)$ სივრცის ღია დაფარვა და $h:(X,®_X)\to(P,®_P)$ ფენების შემნახველი ასახვაა. მაშინ არსებობს ისეთი $\sim\in\mathscr{A}$ ინდექსი და ისეთი $f:(X_\sim,®_{(P,®_P)})\to(P,®_P)$ ფენების შემნახველი ასახვა, რომ h და $f\,p_\sim$ არის $\mathcal{U}$-მახლობადი.*

$\mathbf{R_{B_0}2)}$. *ვთქვათ, $(P,®_P)\in\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ და $\mathcal{U}$ არის $(P,®_P)$-ის ღია დაფარვა. მაშინ არსებობს $(P,®_P)$-ის ისეთი $\mathcal{U}'$ ღია დაფარვა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ თვისებას: თუ $\sim\in\mathscr{A}$ და $f,f':(X,®_X)\to(P,®_P)$ არის ფენების შემნახველი ისეთი ასახვები, რომ $f\,p_\sim$ და $f'\,p_\sim$ არიან $\mathcal{U}'$-მახლობადი, მაშინ არსებობს ისეთი $\sim'\geq\sim$ ინდექსი, რომ $f\,p_{\sim\sim'}$ და $f'\,p_{\sim\sim'}$ ფენების შემნახველი ასახვები არიან $\mathcal{U}$-მახლობადი.*

თუ $(X,®_X)$ B_0-ზე სივრცის $\mathbf{p}:(X,®_X)\to\mathbf{X}=((X_\sim,®_{X_\sim}),p_{\sim\sim'},\mathscr{A})$ ფიბრულ რეზოლვენტაში ყოველი $(X_\sim,®_{X_\sim})$ არის $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცე, მაშინ ვიტყვით, რომ $\mathbf{p}$ არის ფიბრული $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-რეზოლვენტა.

ვ.ბალაძის შემდეგი თეორემა ([B_4]-[B_6]) აუცილებელია B_0-ზე ნებისმიერ სივრცეთა კატეგორიისთვის ძლიერი ფიბრული შეიპური თეორიის აგებისთვის.

თეორემა 3.1.4. B_0 მეტრიკულ სივრცეზე ნებისმიერი $(X,®_X)$ არსებობს B_0-ზე $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-რეზოლვენტა. □

განმარტება 3.1.4.(ვ.ბალაძე, იხ. [B_5]). *ვთქვათ $(X,®_X)$ არის B_0-ზე სივრცე, $\mathbf{X}=((X_\sim,®_{X_\sim}),p_{\sim\sim'},\mathscr{A})$ $\mathbf{Top_{B_0}}$ კატეგორიის შებრუნებული სისტემა, ხოლო $\mathbf{p}=(p_\sim):(X,®_X)\to\mathbf{X}$ $\mathbf{pro-Top_{B_0}}$ კატეგორიის მორფიზმი. $\mathbf{p}$ მორფიზმს ეწოდება B_0-ზე $(X,®_X)$ სივრცის ფიბრული გაფართოება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:*

$\mathbf{E_{B_0}1)}$. *ყოველი $(P,®_P)$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცისთვის და $f:(X,®_X)\to(P,®_P)$ ფენების შემნახველი ასახვისთვის არსებობს ისეთი $\sim\in\mathscr{A}$ ინდექსი და ისეთი $h:(X_\sim,®_{X_\sim})\to(P,®_P)$ ფენების შემნახველი ასახვა, რომ $h\,p_\sim\underset{\mathrm{B}_0}{\simeq}f$.*

$\mathbf{E}_{\mathbf{B_0}}$ 2). *თუ* $f, f' : (X_\sim, \circledR_{X_\sim}) \to (P, \circledR_P)$ *არის ფენების შემნახველი ასახვები,* $(P, \circledR_P) \in \mathrm{ANR}_{B_0}$ *და* $f\, p_\sim \underset{B_0}{\simeq} f'\, p_\sim$ *, მაშინ არსებობს ისეთი* $\sim' \geq \sim$ *ინდექსი, რომ* $f\, p_{\sim\sim'} \underset{B_0}{\simeq} f'\, p_{\sim\sim'}$ *.*

განმარტება 3.1.5. $\mathbf{p} : (X, \circledR_X) \to ((X_\sim, \circledR_{X_\sim}), p_{\sim\sim'}, \mathscr{A})$ *მორფიზმს ეწოდება* B_0*-ზე ძლიერი გაფართოება, თუ ის აკმაყოფილებს* $\boldsymbol{E}_{\mathbf{B_0}}$ **1)** *და შემდეგ პირობებს:*

$\mathbf{SE}_{\mathbf{B_0}}$ 2). *ვთქვათ* $(P, \circledR_P)$ *არის* ANR_{B_0}*-სივრცე,* $f_0, f_1 : (X_\sim, \circledR_{X_\sim}) \to (P, \circledR_P)$, $\sim \in \mathscr{A}$ *ფენების შემნახველი ასახვები, ხოლო* $F : (X \times I, \circledR_{X \times I}) \to (P, \circledR_P)$ *ისეთი ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ* $S(x, 0) = f_0 p_\sim(x), \quad x \in X$,

$$S(x,1) = f_1 p_\sim(x), \quad x \in X.$$

მაშინ არსებობს ისეთი $\sim' \geq \sim$ *ინდექსი და* $H : (X_{\sim'} \times I, \circledR_{X_{\sim'} \times I}) \to (P, \circledR_P)$ *ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ*

$$H(x,0) = f_0 p_{\sim\sim'}(z), \quad z \in X_{\sim'},$$

$$H(x,1) = f_1 p_{\sim\sim'}(z), \quad z \in X_{\sim'},$$

$$H(p_{\sim'} \times 1_I) \underset{B_0}{\simeq} S(\mathrm{rel}(X \times \partial I)).$$

ცხადია, რომ ყოველი B_0-ზე ძლიერი გაფართოება არის B_0-ზე გაფართოება.

თუ ყოველი $X_\sim \in \mathrm{ANR}_{B_0}$, მაშინ $\mathbf{p}$ გაფართოებას B_0-ზე და ძლიერ გაფართოებას B_0-ზე ეწოდება ANR_{B_0}-გაფართოება და ძლიერი ANR_{B_0}-გაფართოება, შესაბამისად.

პარაგრაფ 3.1-ის ერთერთი მთავარი შედეგია შემდეგი

თეორემა 3.1.6. *ვთქვათ* $(X, \circledR_X)$ *არის ტოპოლოგიური სივრცე* B_0*-ზე. მაშინ ყოველი* B_0*-ზე რეზოლვენტა* $\mathbf{p} : (X, \circledR_X) \to \mathbf{X}$ *ინდუცირებს* B_0*-ზე* ANR_{B_0}*-გაფართოებას.* □

შედეგი 3.1.7. *ყოველი* B_0*-ზე* ANR_{B_0}*-რეზოლვენტა ინდუცირებს* B_0*-ზე* ANR_{B_0}*-გაფართოებას.* □

შედეგი 3.1.8. *ყოველი* B_0*-ზე* $(X, \circledR_X)$ *სივრცისთვის არსებობს კოსასრული ძლიერი* ANR_{B_0}*-გაფართოება.* □

თეორემა 3.1.6-ის დამტკიცება მიმდინარეობს შემდეგი ლემების გამოყენებით.

ლემა 3.1.9. *ვთქვათ* $(X,®_X)$ *არის ტოპოლოგიური სივრცე* B_0 *მეტრიზებად სივრცეზე,* $(P,®_P)$, $(P',®_{P'})$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$ *-სივრცეები,* $f:(X,®_X)\to(P',®_{P'})$, $h_0,h_1:(P',®_{P'})\to(P,®_P)$ ფენების შენახველი ასახვები, ხოლო $S:(X\times I,®_{X\times I})\to(P,®_P)$ ისეთი ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ

$$S(x,0)=h_0 f(x),\quad x\in X,$$

$$S(x,1)=h_1 f(x),\quad x\in X.$$

მაშინ არსებობს ისეთი $(P'',®_{P''})$ $\mathrm{ANR}_{\mathrm{B}_0}$-სივრცე, $f':(X,®_X)\to(P'',®_{P''})$, $h:(P'',®_{P''})\to(P',®_{P'})$ ფენების შემნახველი ასახვები და $K:(P''\times I,®_{P''\times I})\to(P,®_P)$ ფენების შემნახველი ჰომოტოპია, რომ

$$h f'=f,$$

$$K(z,0)=h_0 h(z),\quad z\in P'',$$

$$K(z,1)=h_1 h(z),\quad z\in P'',$$

$$K(f'\times 1_I)=S.$$

დამტკიცება. ვთქვათ, $S:(X\times I,®_{X\times I})\to(P,®_P)$ ისეთი ასახვაა, რომ $S(x,0)=(h_0 f)(x)$, $S(x,1)=(h_1 f)(x)$ და $®_P S=®_{X\times I}$. განვიხილოთ $C(I,P)$ სივრცის $C_{\mathrm{B}_0}(I,P)$ ქვესივრცე. ვთქვათ, $®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}:C_{\mathrm{B}_0}(I,P)\to\mathrm{B}_0$ ასახვა მოცემულია შემდეგი

$$®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(¨)=®_P(¨(t)).$$

აქედან გამომდინარე, $C_{\mathrm{B}_0}(I,P)$ არის B_0-ზე სივრცე. ფენების შემნახველი ასახვა $S:(X\times I,®_{X\times I})\to(P,®_P)$ განსაზღვრავს ისეთ ასახვას $s:(X,®_X)\to C_{\mathrm{B}_0}(I,P)$, რომ $(s(x))(t)=S(x,t)$, $x\in X$, $t\in I$. $x\in X$ წერტილის ანასახი $s(x)\in C_{\mathrm{B}_0}(I,P)$, რადგან $®_P\, s(x):I\to\mathrm{B}_0$ არის მუდმივი ასახვა. მართლაც,

$$(®_P\, s(x))(t)=®_P(s(x))(t)=®_P(S(x,t))=®_{X\times I}(x,t)=®_X(x)$$

ყოველი $t\in I$ რიცხვისთვის.

ყოველი $x\in X$ წერტილისთვის გვაქვს

$$(®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}\, s)(x)=(®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(s(x))=®_P(s(x))(t)=$$
$$=®_P(S(x,t))=®_{X\times I}(x,t)=®_X(x).$$

ამრიგად, $®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}\, s = ®_X$. აქედან გამომდინარე, $s:(X,®_X) \to C_{\mathrm{B}_0}(I,P)$ არის ფენების შემნახველი ასახვა. ყოველი $x \in X$ წერტილისთვის გვაქვს

$$(s(x))(0) = S(x,0) = (h_0\, f)(x)$$

და

$$(s(x))(1) = S(x,1) = (h_1\, f)(x).$$

ვთქვათ, $P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P) = \{(y,¨) \mid ®_{P'}(y) = ®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(¨)\}$. ასახვა $f':(X,®_X) \to P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)$, მოცემული $f'(x) = (f(x), s(x))$ ფორმულით არის ფენების შემნახველი ასახვა. ვთქვათ, $®_{P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)} : P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P) \to \mathrm{B}_0$ ასახვა განმარტებულია შემდეგნაირად

$$®_{P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(y,¨) = ®_{P'}(y) = ®_{C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(y).$$

მაშინ მივიღებთ

$$®_{P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)}\, f' = ®_{P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(f(x), s(x)) = ®_{P'}(f(x)) = ®_X(x).$$

ამრიგად, $®_X = ®_{P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)}\, f'$.

ცხადია, რომ პირველი პროექცია $h: P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P) \to (P', ®_{P'})$ არის ფენების შემნახველი ასახვა და $h\, f' = f$.

განვიხილოთ $P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P)$ -ის $(P'', ®_{P''})$ ქვესიმრავლე შემდეგი გზით:

$$P'' = \{(y,¨) \in P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P) \mid ¨(0) = h_0(y), h_1(y) = ¨(1)\}.$$

ვთქვათ, $K: P' \times_{\mathrm{B}_0} C_{\mathrm{B}_0}(I,P) \times I \to P$ ასახვა მოცემულია ფორმულით

$$K((y,¨),t) = ¨(t), y \in P', ¨ \in C_{\mathrm{B}_0}(I,P), t \in P.$$

K ასახვის შემოსაზღვრა $(P'' \times I, ®_{P'' \times I})$ -ზე კვლავ აღვნიშნოთ $K:(P'' \times I, ®_{P'' \times I}) \to (P, ®_P)$ სიმბოლოთი. ეს ასახვა არის ფენების შემნახველი ჰომოტოპია $h_0\, h_{|P''}$ და $h_1\, h_{|P''}$ ასახვებს შორის.

მართლაც, ყოველი $(y,¨) \in P''$ წყვილისთვის და $t \in I$ რიცხვისთვის გვაქვს

$$K((y,¨),0)=¨(0)=h_0(y)=h_0\,h(y,¨),$$
$$K((y,¨),1)=¨(1)=h_1(y)=h_1\,h(y,¨),$$
$$®_{P'\times_{\mathrm{B}_0}C_{\mathrm{B}_0}(I,P)\times I}((y,¨),t)=®_{P'\times_{\mathrm{B}_0}C_{\mathrm{B}_0}(I,P)}(y,¨)=$$
